# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 26 სექტემბერი 2001 №183 (1456) | ფასი 50 თეთრი


## დეპორტივომ ბედის ბორბალი და მანჩესტერი აატრიალა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ესპანურ „დეპორტივოს“ რომ თითქმის წაგებული მატჩების სათავისოდ შემოტრიალება დაეკვეხნება, გუშინაც დადასტურდა. მე-40 წუთზე სქოულზის ლონიერი დარტყმით დაწინაურებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მატჩის მიწურულს ორი გაუტანა და 4 ქულით C ჯგუფს სათავეშიც მოექცა.

ვერც „ბარსელონამ“ შეირგო ლუის ენრიკეს 22-ე წუთზე გატანილი გოლი და მეორე ტაიმში სამი ქულა ლევერკუზენის „ბაიერს“ დაანება.

გუშინდელი სალიგო მატჩებიდან ქომაგთა ყურადღებას სწორედ ეს ორი შეხვედრა იპყრობდა, თუმც გამოსარჩევი ამბები სხვა თამაშებშიც მოხდა. „იუვენტუსმა“ ნორვეგიულ „რუსენბორგთან“ დაკარგა ორი ქულა, შოტლანდიურმა „სელტიკმა“ და ფრანგულმა „ლილმა“ კი ლიგაში გამარჯვებას პირველად გაუგეს გემო.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

ლევერკუზენი — ბარსელონა 2:1. ლუის ენრიკე (მარცხნივ) და დიეგო პლასენტე



REUTERS

დეპორტივო — მანჩესტერი 2:1. დიეგო ტრისტანის შეჩერება მანჩესტერელებს უჭირდათ

## მსაჯები ბურთივით აიჭრნენ





ლოკომოტივი — მერანი. ავჭალელები მსაჯ მეშკოვს ბევრს ედავნენ, თერთმეტმეტრიანი არ იყოო, თუმც გოლის მეტს ვერაფერს გამორჩნენ

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

### 8 ტური

25 სექტემბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 3 |
| მერანი | 0 |
| კოლხეთი | 1 |
| მეტალურგი | 1 |
| სამგურალი | 1 |
| დინამო | 2 |
| სიონი | 1 |
| გორდა | 1 |
| გურია | 0 |
| ბათუმი | 0 |
| ტორპედო | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

იხილეთ მე-3, მე-4, მე-5 გვერდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. მესამე ტური

## E ჯგუფი

### სელტიკი 1:0 პორტუ

1:0 ლარსონი (36)
სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, აგათე, ლამბერტი, ლენონი, პეტროვი (მაკნამარა 89), პეტა (ტომპსონი 69), ლარსონი, სატონი
პორტუ: ოვჩინიკოვი, იბარა (პოსტიგა 76), ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კარვალიუ, მარიუ სილვა (ალენიჩევი 46), ჟორჟე ანდრადე, კოშტინია (ჟუნიორი 46), პარედესი, დეკო სოუზა, ნუნუ კაპუშუ, პენა
მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
54 664 მაყურებელი

### როზენბორგი 1:1 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (85), 1:1 სკამელსრუდი (88პ)
როზენბორგი: არასონი, რ. სტრანდი (ო. ოლსენი 46), ჰოფტუნი, ბასმა, სკამელსრუდი, საარინენი (სტენსაასი 71), ბერგი, ბრატბაკი, ფ. იონსენი, ენერლი (ბ. იონსენი 78), რუშფელდტი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
იუვენტუსი: ბუფონი, მონტერო, ონილი (სალასი 58), პესოტო, იულიანო, ძენონი (მარესკა 77), ძამბროტა, ტაკინარდი, ტურამი, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
20 578 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| როზენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## F ჯგუფი

### ფენერბაჰჩე 0:1 ლიონი

0:1 დელმოტი (88)
ფენერბაჰჩე: რუშთუ, მერიჩი, ოგიუნი, დოგანი, მირკოვიჩი, რაპაიჩი (კ. ანდერსონი 46), რევივო, ლაზეტიჩი (ჩეიჰუნი 82), აბდულა, ჯონსონი, გიუნეში (სერჰათი 73)
მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი (კასაპა 64), ვიოლო, კარიერი (ლეგლი 84), ბრეშე, გოვუ, დელმოტი, ფოე, ლუინდულა (ლინარესი 89), მიულერი
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
მსაჯი: ფრანკ დე ფლეკერი (ბელგია)
16 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 2:1 ბარსელონა

0:1 ლუის ენრიკე (22), 1:1 ბასტურკი (52), 2:1 ნოივილი (69)
ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი (ბასტურკი 46), ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, ზე რობერტო (ვუკოვიჩი 83), შნაიდერი, რამელო, ბალაკი, კირსტენი (ოჯიგვე 75), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი (გაბრი 72), პ. ანდერსონი, კრისტენვალი, სერხი, ხავი, როჩემბაკი (ხერარდი 78), კოკუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი, ჯოვანი (სავიოლა 55)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
22 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## G ჯგუფი

### დეპორტივო 2:1 მანჩესტერი

0:1 სქოულზი (40), 1:1 პანდიანი (86), 2:1 ნაიბეტი (89)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი (ვალერონი 46), სერხიო (სკალონი 61), ფრანი, ტრისტანი, მაკაი (პანდიანი 61)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, რ. იონსენი, ბლანი, ირვინი, ბექემი (ენდი კოული 90), ვერონი, კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროოი (სოლსკიაერი 90)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
34 000 მაყურებელი

### ლილი 3:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ბაკარი (33), 2:0 შეირუ (44), 3:0 ტაფორუ (78)
ლილი: უიმბე, სიგანი, ეკერი, ფაჰმი, პიშო, სტერიოვსკი, შეირუ (ტაფორუ 46), დამიკო, ნდიაე, ბუტოილი (დელპიერი 66), ბაკარი (ოლუფადე 46)
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ბერმუდესი, ანატოლაკისი, მავროგენიდისი (ნინიადისი 64), ვენეტიდისი, პაცაცოლლუ, იანაკოპულოსი, კარამბუ, რობერტსი (ალექსანდრისი 46), ოფორი კუაე, ჯოვანი
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
მსაჯი: სტიუარტ დუგლასი (შოტლანდია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

## H ჯგუფი

### სპარტაკი 1:3 ბაიერნი

0:1 სალიჰამიჯიჩი (16), 0:2 ელბერი (41), 1:2 ბარანოვი (64), 1:3 ელბერი (74)
სპარტაკი: კაბანოვი, კოვტუნი, ბეზროდნი (ციხმეისტრუკი 46), პარფიონოვი (ჩუისე 46), მიტრესკი, ბარანოვი, ანანკო, ბულატოვი, რობსონი, ტიტოვი, ბესჩასტნიხი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ტიამი, ნ. კოვაჩი, ფინკი (ჰარგრივსი 85), სალიჰამიჯიჩი (პაულო სერჟიო 80), ელბერი, სანტა კრუზი (პიზარო 77)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
30 000 მაყურებელი

### სპარტა 4:0 ფეიენოორდი

1:0 პარტიგი (24), 2:0 ლაბანტი (37პ), 3:0 კინჩლი (71), 4:0 მიხალიკი (74)
სპარტა: ცეხი, გრიგერა, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო (ბაჰუშეკი 87), იაროშიკი, პაშეკი, მიხალიკი (ზელენკა 80), პარტიგი (გოლუბი 84), კინჩლი
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
ფეიენოორდი: ზოტებიერი, ემერტონი, ვან გობელი, დე ჰაანი, რესსა, ბოსველტი, ვან გასტელი (ლეონარდო 80), პაუვე, კალუ, ტომასონი, ვან ჰოიდონკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაძევება: ვან გობელი (37)
მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
15 150 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ფეიენოორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |

## უეფას თასი. პირველი ეტაპი

### საპასუხო მატჩები

UEFA CUP

*მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)* 1:1 დინამო (ხორვატია) (2:2)
0:1 აჯიჩი (32), 1:1 გოლდბერგი (41)
*ტიროლი (ავსტრია)* 1:0 შიშკოვი (ჩეხეთი) (0:0)
1:0 გლიდერი (49)
ფილკირი (ისლანდია) 1:3 *როდა (ჰოლანდია)* (0:3)
1:0 იოჰანესონი (57), 1:1 ვან დე ლუერი (59), 1:2 ბერგლუნდი (77), 1:3 ანასტასიუ (87)
*ჰერტა (გერმანია)* 1:0 ვესტერლო (ბელგია) (2:0)
1:0 მარსელინიო (85)
რაპიდი (რუმინეთი) 0:1დ.დ. (0:0) *პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)* (0:0)
0:1 ალოიზიო (93)
გაზიანთეფსპორი (თურქეთი) 1:1 *ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)* (0:1)
0:1 ოსტერცი (19), 1:1 რინძიუკი (51)

## შოტლანდია

### ლიგის თასი. II ეტაპი

ეირდრი 2:1 მოზერუელი
ეარი 4:0 სტრანრარი
დანდი იუნაიტედი 8:0 დამბარტონი
ფოლკირკი 0:2 რეითი
როს ქაუნთი 0:0 (პენ. 5:4) ჰართსი
ქუინ ოფ საუთი 1:2 აბერდინი

## შვედეთი

### XXII ტური

აიკ 1:1 გიოტებორგი

## ჰოლანდია

### თასის 1/16 ფინალი

დენ ბოსხი 2:0 ომნივორლდი (მოყვ.)


ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59




REUTERS

ლევერკუზენი — ბარსელონა. ბარსელონელი ლუის ენრიკეს (№21) და ზე რობერტოს ფერხული


REUTERS

სელტიკი — პორტუ. „სელტიკის" გამარჯვებისა, ცხადია, ჰენრიკ ლარსონმა გაიტანა



REUTERS

სპარტაკი — ბაიერნი. ჯოვანი ელბერმა (მარცხნივ) რუსები გვარიანად გააწვალა


REUTERS

ლილი — ოლიმპიაკოსი. ფრანგმა პასკალ სიგანმა სტუმარი ზიზი რობერტსი „გააფრინა"

## ინგლისი

### I დივიზიონი. X ტური

ბარნსლი 1:1 ძოვენთრი
ბრედფორდი 2:4 სტოკპორტი
ბარნლი 3:3 ძრიუ
გრიმსბი 1:2 ჯილინგემი
მანჩესტერ სიტი 3:0 უოლსოლი
პორტსმუთი 1:2 ვესტ ბრომვიჩი
როტერჰემი 1:1 შეფილდ უენსდი
შეფილდ იუნ. 1:3 კრისტალ პალასი
უიმბლდონი 2:2 მილუოლი
ვულვერჰემპტონი 1:0 ნოტინგემი

### II დივიზიონი. X ტური

ბორნმუთი 1:0 რედინგი
ბრისტოლი 2:0 ტრანმერი
კემბრიჯი 2:2 უიგანი
ჰადერსფილდი 0:0 ჩესტერფილდი
ნორთჰემპტონი 1:3 ბლექპული
ნოტსი 1:0 პიტერბრო
ოლდემი 4:0 ბერი
ქუინზ პარკი 2:1 კარდიფი
სუინდონი 2:0 ბრენტფორდი
რექსემი 1:3 პორტ ვეილი
უიკომბი 1:1 ბრაიტონი

### III დივიზიონი. X ტური

ექსეტერი 1:1 რაშდენი
კიდერმინსტერი 0:0 ოქსფორდი
ლეიტონი 1:3 ლუტონი
ლინკოლნი 2:0 ჰარტლპული
მაკლსფილდი 1:1 დარლინგტონი
მენსფილდი 4:2 ჰალი
როჩდეილი 2:0 ჰალიფაქსი
საუთენდი 3:2 კარლაილი
სუონსი 3:3 შრუსბერი
ტორკი 0:0 სკანთორპი
იორკი 0:0 პლიმუთი
ჩელტენემი — როვერსი გადაიდო

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 13 პირველი ეტაპი

# 8 ტური

# ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲐ?

## ᲛᲔᲠᲐᲜᲘ ᲓᲔᲠᲑᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲠᲑᲘᲡ

თბილისი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი. ლოკომოტივი. 1 500 (ტევადობა 25 600)

### ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 3:0 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

1:0 ბალაშვილი (74პ), 2:0 გოგიჩაიშვილი (87), 3:0 მორჩილაძე (90)

ლოკომოტივი: 1 ლომაია; 4 სალუქვაძე, 2 ბალაშვილი, 15 მორჩილაძე, 20 ონიანი, 25 ქორიძე, 16 დათვაძე, 26 ანჩაბაძე, 8 ჭიჭველიშვილი, 9 გოგიჩაიშვილი, 13 დ. გოდერძიშვილი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

მერანი: 1 ნაჭყეპია; 3 გუჯაბიძე, 14 ჭინჭარაული, 4 ზ. ცქიფურიშვილი, 13 ი. შენგელია, 17 კვეკვესკირი, 15 ბოლქვაძე, 5 დევიძე, 8 ბაჯელიძე, 7 დავითაშვილი, 10 გაგუა

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

შეცვლა: გოდერძიშვილი — 7. დ. ჯანაშია (46), დათვაძე — 10. კაიდარაშვილი (75), ანჩაბაძე — 6. [illegible]ავითნიძე (83), ბოლქვაძე — 11. ივერიანი (86), გაგუა — 6. გ. ილურიძე (89)

გაფრთხილება: გაგუა (64), კვეკვესკირი (72)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

| | | |
|---|---|---|
| 12 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 9 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 0 |

მამუკა კვანტალიანი

**ზედიზედ** მეორედ დამარცხდა „მერანი“, ისევ დიდი ანგარიშით და ისევ დედაქალაქური დერბი წააგეს ავჭალელებმა. „ლოკომოტივი“ მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და რკინიგზელთა გამარჯვება ლოგიკურიც კი იყო, თუმც სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ სტუმრები, რომლებიც წაგების მიზეზად მსაჯის მიერ დანიშნულ საეჭვო თერთმეტმეტრიანს ასახელებდნენ.

ის პენალტი ალექსანდრე მეშკოვმა 73-ე წუთზე დანიშნა. სტუმართა საჯარიმოში შექმნილი მორიგი არეულობის შემდეგ ბურთი ჯანაშიამ მოიგდო და კარში დაარტყა. დარტყმულს მერანელთა ნახევარმცველი კვეკვესკირი ვარდნაში გადაეღობა. ბურთი ჯერ ფეხზე მოხვდა, მიწიდან ასხლეტილი კი ხელზე. ბურთი კარში მიდიოდა, კვეკვესკირმა კი ხელით ითამაშა — ასეთი იყო მეშკოვის კომენტარი.

მსაჯს თავისი განმსჯელი ჰყავს და მატჩის ინსპექტორის გარდა „ლოკომოტივზე“ ფედერაციის სხვა თანამშრომლებიც იყვნენ. თუ ვინმეს ჩემი მოკრძალებული აზრი დააინტერესებს, ამას მოვახსენებ — ბურთისა და მერანელის ხელის კონტაქტი აშკარა იყო.

მანამდეც და მერეც „ლოკომოტივი“ ბევრს უტევდა, მაგრამ სტუმართა მეკარე ნაჭყეპია საიმედოდ იდგა, ხოლო „მერანის“ სამკაციანი დაცვა რკინიგზელთა აგრესიის შეჩერებას ახერხებდა. თანაც პირველი ტაიმის დიდი ნაწილი მოედანზე ექიმების „თარეშმა“ წაიღო. ხან სტუმარი იყო საშველი, ხანაც მასპინძელი. მეტოქეებიც დიდსულოვნად აგზავნიდნენ ბურთს მოედნის ფარგლებს გარეთ.

„მერანი“ რამდენჯერმე კონტრიერიშების განხორციელებას შეეცადა. ერთიორჯერ თითქოს ხიფათისმაგვარიც შეუქმნა ლომაიას, მაგრამ მასპინძელთა მეკარეს და ორკაციან დაცვას ვერაფერი დააკლო.

მეორე ტაიმში რკინიგზელებმა ტემპს და მოძრაობას უმატეს. საშიშროებაც იქმნებოდა ავჭალელთა კართან, მაგრამ რაც მეკარე ნაჭყეპიას ასცდა ყველა დირტყმული ან ძელმა მოიგერია, ზოგიც უმისამართო იყო.

ცხადი გახლდათ, „ლოკომოტივი“ მაინც გაიტანდა. მასპინძელთა შუა ხაზი დაღლას არ გრძნობდა, ხოლო სტუმართა ნახევარდაცვა უკან ჩასვლას აგვიანებდა.

...ბალაშვილმა ბურთი პენალტის ნიშნულზე გაასწორა, უკან დაიხია, გამოექანა და გაიტანა.

„მერანს“ ისლა დარჩენოდა, წინ წასულიყო. ასეთ დროს თუნდაც ფორმიდან ამოვარდნილი ჯანაშია და გოგიჩაიშვილი მეტად სახიფათონი არიან. სწორედ ჯანაშიამ დაიწყო მეორე საგოლე შეტევა, რომელიც მცველებმა საჯარიმოში კი შეაჩერეს, მაგრამ ბურთი გოგიჩაიშვილს მიუვიდა და კახამაც უცნაურად და მეკარისთვის მეტად უხერხულად, ჭვინტით დაარტყა. სტუმართაგან გუშინ საუკეთესო ნაჭყეპია უძლური აღმოჩნდა.

ბოლო გოლი რკინიგზელთა ახალგაზრდა მარჯვენაფლანგელმა მორჩილაძემ მიითვალა. გოგიჩაიშვილს გარჯა დაუფასა და ნაჭყეპიასთან პირისპირ დარჩენილმა გამოცდილი მოთამაშესავით, აუღელვებლად გაიტანა.

გასარკვევი მანამდეც გარკვეული იყო, თამაშიც ორ წუთში დამთავრდა. ნაცნობი სურათი — გახარებული მასპინძელი და ნაწყენი სტუმარი... ვისაც რკინიგზელთა და ავჭალელთა საგაზაფხულო დაპირისპირებები და ქიშპობა ახსოვს, ასეთ დასკვნას გამოიტანდა — კიდევ კარგი, „ლოკომოტივი“ — „მერანი“ ექსცესების გარეშე დასრულდაო.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მხოლოდ მასპინძელთა თავკაცი კახა ცხადაძე გამოცხადდა, რომელიც შედეგით და მეორე ტაიმში შეგირდების გარჯით კმაყოფილი იყო. მწვრთნელმა გამოსარჩევი გამოარჩია, ანჩაბაძეს, მორჩილაძეს და ონიანს გარჯა შეუქო. არც სხვები დავიწყებია, მაგრამ დაამატა, ზოგიერთი მოთამაშისგან მეტს ველიო. ცხადაძემ „მერანსაც“ უძღვნა კუთვნილი გულთბილი სიტყვები, „ლოკომოტივის“ პრობლემებზეც გვესაუბრა და გამარჯვებული დაგვემშვიდობა.



ავჭალელები: პენალტი არ იყო! მსაჯი ალექსანდრე მეშკოვი: იყო!

# ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ ᲔᲒᲛᲠᲘᲔᲚᲐ

ლანჩხუთი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 2 000 (ტევადობა 22 000)

### ᲒᲣᲠᲘᲐ 0:0 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

გურია: 1 გ. დოლიძე; 4 გაბრიჭიძე, 8 განევი, 3 ორბელაძე, 14 ფაცურია, 2 ებრალიძე, 15 ხუჭუა, 7 სულაკაძე, 17 კაციაშვილი, 10 პატარაია, 12 ენდელაძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

ბათუმი: 1 ჭანტურია; 3 მინდაძე, 18 თურმანიძე, 4 არჩვაძე, 7 ხუჯაძე, 5 გვაზავა, 10 ტუღუში, 17 დარჩიძე, 6 ქაცარავა, 9 მაჭუტაძე, 11 აფხაზავა

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

შეცვლა: დარჩიძე — 8. რომანაძე (24), პატარაია — 13. ოდიკაძე (69), ხუჭუა — 11. კუპულაძე (86), ებრალიძე — 5. ქიქავა (86)

გაფრთხილება: არჩვაძე (4), განევი (79), აფხაზავა (79)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 26 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 4 | კარში დარტყმა | 4 |
| 7 | თამაშგარე | 6 |

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

**ვერც ერთმა** გუნდმა ვერ ივარგა, ერთობ მდარე, ზოზინა და უფერული მატჩი გამოდგა. მასპინძლები შედეგით ალბათ კმაყოფილნი დარჩნენ, ბათუმელები და მათი თავკაცი ასლან ბალაძე კი მატჩის შემდეგ მსაჯობით აღშფოთებულნი იყვნენ. თუმც მთლიანობაში თანაბარი თამაში იყო, სტუმრებმა მხოლოდ მიწურულში თუ იძალეს.

პირველი სახიფათო მომენტიც ზღვისპირელების იყო. მე-10 წუთზე გაბრიჭიძის შეცდომის შემდეგ ბურთი აფხაზავამ მოიხელთა, მაჭუტაძეს გადააწოდა, რომელმაც ტუღუში ფაქტობრივად პირისპირ შეატოვა დოლიძეს, ბათუმელმა სცადა, ბურთი თავზე გადაევლო მეკარისთვის, მაგრამ დოლიძემ თითები წაატანა, ბურთის სვლა შეფერხდა და ორბელაძემაც კარის ხაზიდან გამოიტანა იგი.

ლანჩხუთელებმა ტაიმის შუაწელში არანაკლებ მწვავე ეპიზოდით უპასუხეს სტუმრებს. ბათუმელთა კარისკენ ზურგით მდგომმა პატარაიამ 16-17 მეტრიდან დაარტყა და ოდენ ხარიხა შეაზანზარა.

შესვენებამდე „ბათუმმა“ ერთხელაც გაიბრძოლა. მაჭუტაძის კარის მიმართულებით დარტყმულს აფხაზავამ მიაყოლა და ბურთი ზემოდან გადასცდა დოლიძის კარს.

მეორე ტაიმი პირველზე უფრო მძიმედ და უნიათოდ დაიწყო. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. გუნდები თითქოს ზედმეტად ფრთხილობდნენ, ბევრი იყო ტექნიკური წუნი. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ არც ერთ გუნდს არ გააჩნდა გოლის გასატანად სამყოფი შეტევითი პოტენციალი. ლანჩხუთელებს აშკარად ეტყობოდათ ორი დისკვალიფიცირებული შემტევის, მეტრეველისა და მარღიშვილის არყოფნა.

ასლან ბალაძის გუნდი შეხვედრის ბოლო წუთებზე გამოცოცხლდა, მარწუხები მოუჭირა მეტოქეს, ორი აშკარა საგოლე მომენტი შექმნა და ორივე აფხაზავამ გააცუდა — ჯერ 3 მეტრიდან მაჭუტაძის პასი ვერ შეიშნოვა, მერე მსაჯის მიერ დამატებულ დროში „გურიას“ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბურთი აფხაზავას მიუვიდა, მაგრამ ორიოდე მეტრიდან ვერ დალაშქრა კარი, გუბაზ დოლიძემ სასწაული მოახდინა და ბურთი მოიგერია.

არბიტრის საფინალო ჩასტვენამ გურულებს სულზე მიუსწრო, ბათუმელები კი მსაჯს მისცვივდნენ, დროზე ადრე დაამთავრე მატჩიო. მანამდე კი სტუმრები პენალტს ითხოვდნენ. ავთანდილ ორდინიძემ საერთო ჯამში სუსტად ჩაატარა მატჩი, თუმც შეხვედრის ასეთი შედეგი ბათუმელებმა მსაჯს ნაღდად არ უნდა დააბრალონ.

### ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 1:1 ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ

ქუთაისი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი. ტორპედო. 2 500 (ტევადობა 19 432)

1:0 ქუთათელაძე (71), 1:1 ადამია (76). ასათიანმა ვერ გაიტანა პენალტი (16)

ტორპედო: გვარამაძე, აბრამიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, დიდავა, თოდუა, ქემოკლიძე (ბაბუნაშვილი 46), ახალკაცი (ბკოფიანი 67), ასათიანი (გოჩაროვი 46), ბოროშინი, ზ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: სტურუა; გ. შენგელია, ძაგნიძე, გამეხარდაშვილი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ინწკირველი, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, თედორაძე, გოგობერიშვილი (არეშიძე 12, ზ. მეტრეველი 74), ფეიქრიშვილი (ბეროშვილი 53), წუწუნავა, ადამია, დ. დოლიძე
სათადარიგონი: ქურაძე; ტყებუჩავა, გოჩაშვილი, მ. ცქიფურიშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

გაფრთხილება: ახალკაცი, ინწკირველი, თედორაძე, დოლიძე

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა), ლ. სილაგაძე; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

წყალტუბო. 25 სექტემბერი. 17.30 საათი. 26 მაისი. 1 500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 1:2 დინამო

0:1 ფრანგიშვილი (17ს.კ), 1:1 დარსაძე (44), 1:2 ამისულაშვილი (76)

1 ბოდოკია

მწვრთნელი: გია გიგატაძე

3 ფრანგიშვილი

8 ბანძელაძე | 14 ჭელიძე

9 კიკვიძე | 2 ბერაძე | 10 დარსაძე

17 ღონღაძე | 12 ჯანაშია

19 ხუნდაძე

18 გ.ა. მიქაძე

10 მიკუჩაძე | 11 მ. ბობოხიძე

6 ა. სახვაძე | 9 დარასელია | 8 ბურდული

2 გაბიდაური

4 შავგულიძე | 3 ამისულაშვილი | 7 მანწკავა

5 შაშიაშვილი

მწვრთნელი: გივი ნოდია

22 ზოიძე

შეცვლა: კიკვიძე — 11. ვაჩიბერაძე (32), გაბიდაური — 16. კანდელაკი (65), მიკუჩაძე — 13. გ.ვ. მიქაძე (65), ჭელიძე — 7. ჯინჭარაძე (80), ბობოხიძე — 14. აფციაური (84)

გაფრთხილება: ბერაძე (22), გ.ა. მიქაძე (63), ფრანგიშვილი (73), ხუნდაძე (89)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), პ. გაბრიაძე (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 14 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

# ზოიძე ისე არ გახუნდება

ვახტანგ ბზიკაძე წყალტუბოდან

**წესისამებრ,** მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო. წუთი უშუქობის გამო იმდენად მდუმარე გამოვიდა, ზოგიერთმა გულშემატკივარმა, ვერც (თუ არც) გაიგო, რომ სტადიონი ტრაგიკულად დაღუპული დავით ყიფიანის ხსოვნას მიაგებდა პატივს.

წესისამებრ, „დინამოს" წყალტუბოში თამაში გაუჭირდა.

წესისამებრ, „დინამომ" მოიგო.

წესისამებრ, მასპინძელთა გულშემატკივრებს გულისწყვეტა და ეჭვიანობა არ ასცდა — თბილისელებს მსაჯმა მოაგებინაო.

მოაგებინა, ეგებ, ბევრია, მაგრამ „დინამოს" არწაგება კი გუშინ, ნაწილობრივ მაინც, მართლაც იყო არბიტრ სერგო კვარაცხელიას დამსახურება. ნაწილობრივ კი, იმიტომ, რომ ამაში „დინამოს" ახალწვეულის, ირაკლი ზოიძის დადანაშაულება უფრო შეიძლება.

უფრო მეტიც, კვარაცხელიას იმ წილშიც, ზოიძეს საკუთარი, მნიშვნელოვანი წილი ედო.

ქუთაისის „ტორპედოდან" სეზონის წინ გამქრალი ზოიძე ცოტა ხნის წინ თბილისის „დინამოში" გამოჩნდა და რედებიუტისასვე გამოიჩინა თავი. რომ არა ზოიძის საიმედო თამაში, გნებავთ იმ, ბოლო წუთზე და სადავო მომენტში სათანადო აქტიურობა, თბილისელებს მოგება სანატრელი გაუხდებოდათ.

მართლაც, პირველ ტაიმში სტუმარმა მასპინძელს თამაშით კი აჯობა, მაგრამ შედეგით ვერა, მეორე ნახევარი კი მასპინძლებმა მეტოქის მოედანზე გაატარეს და მოგება ბოლო წუთამდე სათუო გაუხადეს.

მეჩვიდმეტე წუთზე შემცდარმა სამგურალელებმა ანგარიში ტაიმის ბოლოს გაათანაბრეს. ეს გოლები ერთმანეთს იმით ჰგავდა, რომ იტალიური წესით, ორივე საკუთარ კარში გატანილად ჩაითვლებოდა.

ჩვენებურად კი ავტოგოლი მხოლოდ პირველი, ფრანგიშვილის მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილი სახვაძის ჩაწოდება იყო. წყალტუბოელმა მცველმა საკუთარ მეკარეს უიოლესი ბურთის აღება არ დააცალა, თავად კი მარცხი შეიმთხვია.

დარჩენილ დროში ფრანგიშვილი ძლიერ ეცადა საპირისპირო მიმართულებით გატანაშიც მიელო მონაწილეობა, რაც არ გამოუვიდა, თუმცა მისი და სხვათა მონდომება მასპინძელთა უპირატესობაში აისახა.

ბოლო ორი გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა. ანგარიში თავურით შოთა დარსაძემ გაათანაბრა, რომელმაც საჯარიმოს გვერდიდან კახა ჯანაშიას ჩაწოდებულ ბურთს თავი ისე აძგერა, კარში მდგარ მცველს, გიორგი მანწკავასაც მოარტყა და ზოიძის ბადეშიც ააფართხალა.

ერთ ნახვად ღირდა ალექსანდრე ამისულაშვილის გატანილიც, რომლითაც „დინამო" საბოლოოდ დაწინაურდა: ვიტალი დარასელიამ პირველ გოლამდე ბურთის უმიზეზოდ დაკარგვა ფლანგური საჯარიმოდან იმ ჩინებული ჩაწოდებით გამოისყიდა, რომელსაც ამისულაშვილის საგოლე თავური მოჰყვა.

გოლების გარდა აღსანიშნი ორივე კართან შექმნილი რამდენიმე საგოლე მომენტი და ერთიც, ზემოთნახსენები, ბოლო წუთის სადავო ეპიზოდია.

„სამგურალმა" გასატანი შანსი მექვსე, 42-ე, მე-60, 61-ე (ორჯერ), 66-ე, 87-ე და ბოლო წუთებზე გაატანა ქარს: სამჯერ ხუნდაძემ ვერ შეძლო შეტევის გოლით დაბოლოვება, თითოჯერ ვაჩიბერაძემ, ღონღაძემ, დარსაძემ, მიქაძემ და ბანძელაძემ.

უმწვავესი კი მეორე ტაიმის პირველ მესამედს მოყოლილი ორწუთეული იყო, როცა ზოიძემ ჯერ ღონღაძის თავური მოიგერია კუთხურზე, მერე დარსაძის შორეული, მაგრამ ძლიერი დარტყმა და ბოლოს მიქაძის თავურსაც გადაურჩა.

დინამოელთაგან მეცხრე წუთზე ბურდულს, 30-ეზე მიკუჩაძეს, 41-ეზე და 45-ეზე ბობოხიძეს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ პირველს აუცდა, დანარჩენებს კი მეკარე თედო ბოდოკიამ აჯობა.

წყალტუბოელთაგან ყველაზე გამორჩეული მაინც მამუკა ხუნდაძე იყო. „სამგურალის" ვეტერანი, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატებში 100 გოლის გატანამდე ოდენ სამი უკლია, აქტიური თამაშით კი გამოირჩა, მაგრამ უფრო მეტად საჯარიმო დარტყმის უფლების მოსაპოვებლად ირჯებოდა.

ძალიან კი ეწადა, ხუნდაძეს ერთ დროს თანაგუნდელი („ტორპედოში" თამაშობდნენ ერთად) მეკარისთვის გატანა, მაგრამ „ტორპედოში" დაწუნებულ და „დინამოში" მოწონებულ ზოიძეს საქმე ჯერ ისე ნამდვილად არ წასვლია, ვინმეს, თუნდაც ხუნდაძეს, დაურტყმელად გაატანინოს.

3 გოლით „სამგურალის" ბომბარდირს და თავდასხმაში ხუნდაძის მეწყვილე გიორგი მიქაძეს კარის დალაშქვრის შანსი ორჯერ მიეცა. ერთზე უკვე მოგახსენეთ, ერთიც იმ სადავო ეპიზოდში იყო, რომელსაც გაწევ-გამოწევა, საქმის რჩევა და მითქმა-მოთქმა მინდორზეც და მის გარეთაც უხვად მოჰყვა.

ბოლოსწინა წუთზე ზოიძის საჯარიმოში მწვავე პასს გიორგი მიქაძე სწრაფად შეჰყვა, მაგრამ კარს მარცხნიდან მიახლოვებული მეკარემ გაშლილი ფეხით, წესის დარღვევით შეაჩერა და... კვარაცხელიამ პენალტის ნაცვლად კუთხური დანიშნა.

აქ უკვე ყველას ერთბაშად გაახსენდა, რომ არბიტრმა ხუნდაძის ყველა წაქცევას ისევე მოუხუჭა თვალი, როგორც სტუმართა ჯარიმა-კუთხურებისას ამისულაშვილის უმეტესად წესის დარღვევით თამაშს. გაახსენდათ, რომ წყალტუბოში „დინამომ" შარშანწინაც ასე ჯახირით, 2:1 მოიგო და მაშინაც მსაჯის დახმარებით.

ერთი სიტყვით, არბიტრის შეცდომამ თუ ურცხვობამ სტუმართა გარდა ყველა ალაშფოთა, თუმცა, როგორც ერთ-ერთი სამგურალელი ამტკიცებდა, ზოიძეს მატჩის შემდეგ ულიარებია, პენალტი დასანიშნი იყოო...

გამარჯვებულის გულახდილობა კეთილშობილი საქციელია, თუმცა პენალტი, ულაპარაკო გოლს და ანგარიშის გათანაბრებას მაინც არ ნიშნავს — წინა სეზონში საქართველოს საუკეთესო მეკარემ სამჯერ შეძლო თერთმეტმეტრიანის მოგერიება...

ზოიძე, ეტყობა, წლეულსაც არ აპირებს ბევრის გაშვებას.



ირაკლი ზოიძე

# დოგრაშვილმა სიდამონიძეს პენალტი გააწნა

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

**დიდი** შეხლა-შემოხლა იყო გუშინ ბოლნისურ სარბიელზე. ერთ-ერთ ეპიზოდში მატჩი სამი წუთითაც შეწყდა და დიდი შანსი იყო, რომ საერთოდ ჩაშლილიყო. ამის მიზეზი კი ქუთაისელი არბიტრი პაატა დოგრაშვილი გახლდათ. არბიტრმა, თავისდაუნებურად, თვალსაჩინო მაგალითი წარმოადგინა იმისა, როგორი არ უნდა იყოს მსაჯი მოედანზე.

მატჩი თავიდანვე ნერვიულად დაიწყო. ორივე გუნდის ფეხბურთელები ბევრს ცოდავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ უპირატესობა მოეპოვებინათ მოედნის ცენტრში. ასეთ დროს ბრძოლაც უშელავათო იყო, სადაც მცირე უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს მელაძის და გამორჩეულად ალადაშვილის მცდელობით, ეს უკანასკნელი ჯარასავით ტრიალებდა მოედანზე და თავისიანთა იერიშების სული და გული იყო. თავის მხრივ „სიონიც" ცდილობდა. მოსეშვილისა და ისიანის მცდელობით მასპინძლები შეტევაზე იყვნენ დაგეშილნი და მატჩიც უთუოდ საინტერესოდ გაგრძელდებოდა, დოგრაშვილს მეტისმეტი სიფრთხილე რომ არ გამოეჩინა, ქუთაისელი არბიტრი უმნიშვნელო მიკარებაზეც კი ჯარიმას ნიშნავდა, რამაც ფეხბურთელებიც გამოიყვანა მოთმინებიდან და სტადიონზე შეკრებილ 1500-მდე ქომაგსაც გვარიანად მოუშალა ნერვები. ასეა თუ ისე, პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს. ჯერ გოცირიძეს ჰქონდა ანგარიშის გახსნის კარგი შანსი, როდესაც ალადაშვილის პასის შემდეგ პირისპირ დარჩა ვოლკოვთან, ტაიმის შუაწელში კი მოსეშვილს მართებდა გატანა და გაიტანდა კიდეც, მის ოთხიოდე მეტრიდან ძლიერად დარტყმულ ბურთს ხარიხა რომ არ დახვედროდა.

მეორე ნახევარში თემურ მახარაძემ მამუკა მინაშვილი და ბესიკ შენგელია შეიყვანა მოედანზე, რამაც საგრძნობლად გამოაცოცხლა მასპინძლები შეტევაში და ის-ის იყო, ძველისძველი დოლებით შეიარაღებულ ალას და ფანობას გული მიეცათ, რომ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — „სიონის" კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა. ლაშა სილაგაძემ ეფექტურად გაითამაშა კედელი ჯულაძესთან, რომელმაც საჯარიმოსკენ გაისროლა ბურთი და... კახა სიდამონიძე კარგა ხანს უჩვენებდა აწითლებულ ლოყას დოგრაშვილს და გვერდით ცირდავას, მაგრამ მსაჯმა ხელით თამაში დააფიქსირა და „თემურ სტეფანიაზე" შეკრებილთა რისხვამაც არ დააყოვნა. დოგრაშვილი რომ საბოლოოდ აჭრილი იყო, ამ ეპიზოდმაც დაადასტურა. ჯერ პენალტი დანიშნა და მერე აირბინა გვერდით მსაჯთან სადავო ეპიზოდის გასარკვევად. ცირდავა არბიტრის გადაწყვეტილებას აღარ შეწინააღმდეგებია და ატყდა გაწევ-გამოწევა, რაც სამიოდ წუთში საგანგებოდ პენალტის შესასრულებლად მოედანზე შეყვანილი ჯულელის გოლით დასრულდა.

მერე კი მასპინძელთათვის კომპენსაციის მიზნით რა არ ილონა დოგრაშვილმა, რაც მე-80 წუთზე სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბექაურის გაძევებით დააგვირგვინა. ბექაურის გასვლას კი გოლი მოჰყვა — შენგელიას საჯარიმოს შემდეგ მეკარის ბაქანთან შექმნილი არეულობით ირემაშვილმა ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში „სიონი" ბევრს კი ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. არადა, ორჯერ მოგების ჩინებული შანსი ჰქონდა, ჯერ მინაშვილის თავური აისხლიტა ხარიხამ, ზედ საფინალო სასტვენის წინ კი ამბიძეს დარტყმა რომ არ დაეხანებინა ათიოდე მეტრიდან, ეგებ სამი ქულაც მოეპოვებინათ მასპინძლებს, მაგრამ გუშინდელი მატჩის კანონზომიერი შედეგი ფრე უფრო იყო.

ბოლნისი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი. თემურ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 2 500)

## სიონი 1:1 გორდა

0:1 ჯულელი (63პ), 1:1 ირემაშვილი (80)

1 ვოლკოვი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

3 ირემაშვილი | სიდამონიძე | კარიაული

მოსეშვილი | დ. სვანიძე | ბარნოვი | მინდიაშვილი

ამბიძე

დაუშვილი | ისიანი

ჭელაძე | გოცირიძე

მელაძე

ლ. კაპანაძე | ლაშა სილაგაძე | ა. ლურსმანაშვილი | კ. ალადაშვილი

ბექაური | ზვ. ლაბაძე

ბურნაძე

მწვრთნელი: თენგიზ კაცია

კორომზინაძე

შეცვლა: მინდიაშვილი — 15, მინაშვილი (46), ვაუშვილი — 9, ბ. შენგელია (46), გოცირიძე — 9, ჯულელი (60), ალადაშვილი — 18, მიშველიძე (73), სვანიძე — 16, მ. გოგოლაძე (75), ჯელაძე — 14. პეტრიაშვილი (86)

გაფრთხილება: კაპანაძე (41), გოცირიძე (50), ბექაური (71)

გაძევება: ბექაური (80)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 28 |
| 7 | კუთხური | 7 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 4 | თამაშგარე | 3 |

# ვაი ბუიშვილს! ზაურ ჩუბინიძემ მეორე ქულა გამოადნო

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

**თამაშის** დაწყებამდე „ფაზისზე" შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დავით ყიფიანის ხსოვნას.

გუშინდლამდე კოლხებს საშინაო მატჩებში ასპროცენტიანი შედეგი (ოთხი მოგება) ჰქონდათ და, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამბიციური მასპინძლები გამარჯვებათა სერიას „მეტალურგთან" შეწყვეტდნენ, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. სოსო ფილიას გუნდმა აუტსაიდერთან ვერაფერი გააწყო, ოღონ ქულას დასჯერდა და ეს ქულაც ბოლო წუთებზელა გადაარჩინა.

„ტორპედოსთან" ზესტაფონური მატჩის შემდეგ „მეტალურგის" მესვეურებმა გუნდიდან პაატა ლურსმანაშვილი და ლადო ჭყონია დაითხოვეს. ამიტომ იყო, სტუმართა დამრიგებელ ზაურ ჩუბინიძეს ძირითადი შემადგენლობის გადახალისება რომ მოუხდა. მწვრთნელმა ლიბეროდ გამოცდილი მალხაზ ღონღაძე გაამწესა, მარჯვენა ნახევარმცველად კი დავით გურეშიძეს მოუწია გარჯა. ჩუბინიძემ ამჯერად ორის ნაცვლად ეული თავდამსხმელით დააწყობინა თავის გუნდს თამაში. ერთი სიტყვით, სტუმართა სათამაშო გეგმა იმთავითვე გამოიკვეთა — მასირებული (ორ ეშელონად) დაცვით და სწრაფი კონტრიერიშებით ფონს გასვლა.

მასპინძლებმა, რაღა თქმა უნდა, დებიუტშივე შეუტიეს და საკმაოდ მძლავრადაც. მე-6 წუთზე მათ ანგარიშის გახსნის ჩინებული შანსი მიეცათ, ოღონდ კვირკველიას არ გაუმართლა. კოლხის დარტყმული ჯერ ხარიხამ აისხლიტა, ხოლო განმეორებით კარისკენ გაგზავნილი არაზუსტი გამოდგა. ათ წუთში სტუმრები ისევ გადაურჩნენ ხიფათს. წივწივაძემ ვერ ისარგებლა მომენტით, ხელსაყრელი პოზიციიდან მიზანს ააცილა. ფოთელთა ამ იერიშს ზესტაფონელთა საპასუხოც მოჰყვა. ამაშუკელმა საჯარიმოს გარედან დაბალ კუთხეში დაურტყა მამუკა გვასალიას, მაგრამ მცირედით ააცილა. მერე ოცი წუთი „ცალკარა" მიდიოდა. კოლხები გამუდმებით უტევდნენ, თუმც ხეირით მაინც ვერ ხეირობდნენ. არადა შუა ტაიმში ელდარ გვასალიამ გატანის ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან, იგი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ოდიკაძემ იმარჯვა, ზუსტად იქ დაუხვდა ბურთს, საითაც კოლხმა გაგზავნა.

ზესტაფონელებს პირველ ტაიმში ბედიც წყალობდათ და, რაც მთავარია, მარჯვედაც იცავდნენ თავს. 36-ე წუთზე კი მათ ერთი იერიშიც მიიტანეს მასპინძელთა კარზე და კინაღამ დაწინაურდნენ. მიქელთაძემ და გოროზიამ საკუთარი საჯარიმოს წინ ითამაშეს შეუთანხმებლად, კრავეიშვილმაც დრო იხელთა და კოლხთა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ იჩქარა და, ფაქტობრივად, ხელებში დაურტყა. ასე იყო თუ ისე, ტაიმი უგოლოდ მორჩა.

მეორე ნახევარში ფილიას შეგირდებს კიდევ უფრო გაუჭირდათ სტუმართა დაცვის გარღვევა. ზესტაფონელებს საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი ფლანგები და მეტოქის მიერ ცენტრიდან წამოწყებულ იერიშებსაც თავგამოდებით იგერიებდნენ. კოლხები ვერც შორეული დარტყმებით ხეირობდნენ. ჰოდა, მთლად აირივნენ მასპინძლები, დაცვაშიც უხშირეს შეცდომებს და დაისაჯნენ კიდეც. გეწაძის პასის შემდეგ კრავეიშვილმა იმარჯვა, მცველებს დაუსხლტა და ბოლოს მამუკა გვასალიასაც არ დაუტოვა შანსი — 15 მეტრიდან მარცხენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაურტყა. იოლი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდნენ კოლხები. ნერვებს აჰყვნენ მასპინძლები და ამან მთლად მოშალა გუნდი. დრო გადიოდა და კოლხები ვერაფერს აკლებდნენ მეტოქეს. 83-ე წუთზე ზესტაფონელებს გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. ამაშუკელმა მოედნის ცენტრიდან გრძელი პასით ფირცხალაიშვილი მოძებნა საჯარიმოს წინ, ამანაც შეუჩერებლივ ძლიერად დაარტყა და ოდნავ გადააცილა ხარიხას.

და მაინც... მასპინძლებს მხნელად შეცვლაზე შესული მუმლაძე მოევლინათ. საფინალომდე ხუთი წუთით ადრე შალვამ დაახლოებით 20 მეტრიდან მარჯვედ მოიქნია ცაცია, ბურთი დაშავებული ოდიკაძის შემცვლელ მერკვილიშვილის წინ დაეცა, მეკარემ ავარდნილის დამორჩილება ვერ შეძლო და ანგარიშიც გათანაბრდა.

მასპინძლებს, ბუნებრივი იყო, სტიმული მიეცათ და ისინიც გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ ვერც დარჩენილ ხუთ და ვერც არბიტრის მიერ წამატებულ სამ წუთში მეტოქისთვის რეალური საფრთხე ვერ შექმნეს, პირიქით, 87-ე წუთზე ორმოცაძემ კარიდან წინ გამოსულ მამუკა გვასალიას 70 მეტრიდან დაურტყა, მეკარემ გაჭირვებით მოასწრო ბურთის კუთხურზე გადაგდება. ზესტაფონელები ჯუმბერ ბუიშვილის (უმაღლეს ლიგაში მისთვის სადებიუტო მატჩი გახლდათ) წამატებულ სამს გადაცილებულ წუთნახევარში აღმოჩნდნენ მარცხის საშიშროების წინაშე. არბიტრმა „მეტალურგის" საჯარიმოს წინა ხაზთან საჯარიმო დანიშნა. ფანჩულიძემ ძლიერად დაარტყა და, მერკვილიშვილის თავგანწირული ნახტომი რომ არა...

***ზაურ ჩუბინიძე, „მეტალურგის" მწვრთნელი:*** ორი აზრი არ არის, „კოლხეთი" ჩვენზე ძლიერია და, შესაძლოა, გამარჯვებასაც იმსახურებდა, მაგრამ ჩვენ ჩვენსაც ვეცადეთ. ბიჭებმა იბრძოლეს, ოფლი ღვარეს. გაოგნებული ვარ მსაჯის თავხედობით, სხვა სიტყვას მის საქციელს ვერ მოვუძებნი. წამდაუწუმ „ცდებოდა" მასპინძელთა სასარგებლოდ. დროსაც გადაამეტა, ასეთმა კაცმა არ უნდა იმსაჯოს. გაჭირვება ისედაც გვყოფნის.

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:*** ჩემი ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ ამ თამაშისათვის, გამარჯვება კი იოლად არ მოდის. პირველ ტაიმში ჩვენ შევუწყვეთ მეტოქეს ხელი, როცა 4-5 საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში სათამაშო დისციპლინა დარღვეული იყო. ვიცოდით, „მეტალურგი" დაცვაში რომ ჩაჯდებოდა, ფლანგებიდან მწვავედ უნდა შეგვეტია, მაგრამ ჩემი დავალება არ შესრულდა. სიმართლე გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ მუმლაძემ გოლი გაიტანა, შეცვლებმაც არ გაამართლა. ყურაშვილის შეცდომის შემდეგ კინაღამ გოლი მივიღეთ.

ფოთი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი. ფაზისი. 800 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:1 მეტალურგი

0:1 კრავეიშვილი (67), 1:1 მუმლაძე (85)

1 მ. გვასალია

მწვრთნელი: სოსო ფილია

4 მიქელთაძე, 2 გოროზია, 14 ქუტიძე, 10 ფანჩულიძე

5 მ. ქობულაძე

7 კრასოვსკი, 11 კვირკველია

18 კ. კვეტენაძე

20 ე. გვასალია, 8 წივწივაძე

10 კრავეიშვილი

8 სუხიაშვილი, 6 ამაშუკელი, 18 გურეშიძე

16 გეწაძე

2 მაღლაკელიძე, 4 მერებაშვილი, 19 ორმოცაძე, 14 მემარნიშვილი

5 მ. ღონღაძე

მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

12 თ. ოდიკაძე

**შეცვლა:** მემარნიშვილი — 17. გოგაძე (30), ღონღაძე — 11. ფირცხალაიშვილი (43), კრასოვსკი — 9. ყურაშვილი (60), ქობულაძე — 17. მუმლაძე (60), ოდიკაძე — 1. მერკვილიშვილი (65)

**გაფრთხილება:** გეწაძე (53), ამაშუკელი (68)

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 25 |
| 15 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 9 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 7 | 1 | 0 | 20:2 | 22 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 18:6 | 18 |
| მერანი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:11 | 16 |
| ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 14 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 18:8 | 13 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:13 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 |
| სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:16 | 8 |
| სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| გურია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| გორდა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | 5 |
| მეტალურგი | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | 2 |

# მგლური კანონი

## გასახდელიდან ტრანსფერზე



თემურ ქეცბაია

**ვერ აეწყო** კარგად თემურ ქეცბაიას საქმეები „ვულვერჰემპტონში". 33 წლის ქართველ ნახევარმცველს უმეტესწილად შეცვლაზე ათამაშებდნენ, ხოლო თუ სასტარტოში აყენებდნენ, მთელ 90 წუთს არ აჩერებდნენ მინდორზე.

წლევანდელი სეზონის დასაწყისი ქეცბაიას ტრავმის გამო გაუცდა, ეროვნულ ნაკრებშიც ამის გამო ვერ ითამაშა უნგრეთ-ლიტვასთან. ერთი კვირის წინ კი მტკივანი ფეხი მოიშუშა, მაგრამ „მგლების" ძირითადში ადგილი მაინც არ ეღირსა, მეტიც, წინა კვირაში „ჯილინგემთან" მატჩში სათადარიგოებშიც არ გაამწესეს. ჰოდა, ქეცბაია და „ვულვზი" გაიყრებიან, რაც გუნდის თავკაცმა დეივ ჯოუნსმაც დაადასტურა: „როცა „ჯილინგემთან" მატჩისთვის შემადგენლობა დავადგინე, ქეცბაია 16 ფეხბურთელთა შორის არ მოხვდა. ის ამით უკმაყოფილო იყო და გასახდელიდან გაუჩინარდა".

ამ ინციდენტის შედეგად „ვულვერჰემპტონმა" თემურ ქეცბაია ტრანსფერზე დააყენა. „გადაწყვეტილება მიღებულია. მე კი რაც შემიძლია, ყველაფრით დავეხმარები ქეცბაიას სხვა გუნდში გადასასვლელად" — დასძინა დეივ ჯოუნსმა.

„ვულვზის" ვებსაიტში იმასაც ამოიკითხავთ, რომ ქეცბაია რამდენიმე დღით სამშობლოში გახლდათ ეროვნულ ნაკრების ყოფილი მწვრთნელის დაკრძალვაზე, ახლა კი დეივ ჯოუნს დეტალურად დაელაპარაკება.

**დავით თავართქილაძე**



# ეროვნულის დღე

## გახსნის დღიდანვე, 1976 წლის 26 სექტემბრიდან, „დინამო" ეროვნული სტადიონი იყო

*საქართველოს ყველა სპორტსმენს, თბილისის „დინამოს" ყველა ფეხბურთელსა და ვეტერანს, ჩვენს ყველა ლეგიონერსა და გულშემატკივარს, ქართული ფეხბურთისა და სტადიონის ყველა მოამაგეს, მინდა მოვაგონო და მივულოცო ჩვენი ეროვნული დღესასწაულის, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის საზეიმო გახსნისა და პირველი გამარჯვების 25 წლისთავი.*

*ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე აღორძინების უდიდესი სურვილითა და იმედით*

*გია ქურდიანი*

*ეროვნული სტადიონის ავტორი*

# ჩემპიონთა ლიგა III ტური. დღეს

## A ჯგუფი

### რეალი — ანდერლეხტი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ფლავიო კონსეისაო, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მუნიტისი
**ანდერლეხტი:** დე ვილდე, ილიჩი, ვანდერეიკე, დე ბუკი, ჰენდრიქსი, ჰასი, კრასონი, მორნარი, დე ბილდე, ჰირარი, დინდანე

### რომა — ლოკომოტივი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა:** ანტონიოლი, კაფუ, ძებინა, სამუელი, ძაგო, კანდელა, ტომაზი, ასუნსაო, ტოტი, ბატისტუტა, მონტელა
**ლოკომოტივი:** ნიგმატულინი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობრადოვიჩი, დროზდოვი, მამინოვი, იზმაილოვი, ლეკხეტო, ლოსკოვი, ბუზნიკინი, იგნაშევიჩი

**მადრიდული** „სამეფო კლუბი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბელგიურ „ანდერლეხტს“ გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალად შეგულებულ, სეზონის წინ ზღაპრულ ფასად შეძენილ ზინედინ ზიდანის გარეშე დაუპირისპირდება. იგი თამაშს, დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს, რაც ახალი ამბავი სულაც არ არის. დელ ბოსკე ფრანგს, ალბათ, ფლავიო კონსეისაოთი შეცვლის. მწვრთნელს შეუძლია, საქმეში ტრავმამოშუშებული ფერნანდო მორიენტესიც გამოსცადოს, თუმც მისი სასტარტო შემადგენლობაში ხილვა ნაკლებად სავარაუდოა. მორიენტესის ადგილს, რაულის სიახლოვეს, ალბათ, ისევ პედრო მუნიტისი დაიკავებს.

ესპანურ კლუბებს ბელგიელებთან ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი აქვთ. ესპანელებს ოცდათოთხმეტჯერ უმარჯვიათ, ბელგიელებს ოცდაექვსჯერ, ხოლო ათ მატჩში მეტოქენი ფრით გაყრილან. „რეალი“ — „ანდერლეხტის“ დუელში კი წინ ჩრდილოელები არიან. დღევანდელ მეტოქეთა რვა მატჩიდან ოთხი ბელგიელების მოგებით დასრულებულა, სამი — ესპანელებისა.

„ანდერლეხტის“ მწვრთნელ ემე ანტუნესს დაშავებული არავინ ჰყავს. გუნდიც კარგ ფორმაშია, თუმცა ბელგიელებისგან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შემტევ თამაშს, ცხადია, არავინ ელის.

A ჯგუფის მეორე მატჩში „რომა“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ მასპინძლობს. ორივე გუნდს მხოლოდ თითო ქულა აქვს და ამ შეხვედრაში ისინი მაქსიმუმის მიღწევას შეეცდებიან — თუ რა თქმა უნდა, ჯგუფიდან გასვლა სურთ. შესაძლოა, იტალიის ჩემპიონს ტრავმების გამო ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი და თავდამსხმელი მარკო დელვეკიო გამოაკლდნენ. სამაგიეროდ, კაფუ კვლავ ფორმაშია. ფაბიო კაპელოს გუნდს სამი ქულა ჰაერივით სჭირდება და სავარაუდოა, რომ იტალიელებმა სამი თავდამსხმელით (ტოტი, ბატისტუტა, მონტელა) ითამაშონ.

იური სიომინი ტრავმების გამო ნიგერიელ თავდამსხმელ ჯეიმს ობიორასა და რუსლან პიმენოვს მოისაკლისებს. ამ უკანასკნელის ადგილს სერგეი იგნაშევიჩი დაიკავებს. საეჭვო იყო „ლოკომოტივის“ კაპიტან იგორ ჩუგაინოვის მოედანზე გასვლა. იგი გაციებულია, თუმცა, როგორც ფიქრობენ, თამაშს მაინც შეძლებს.



პედრო მუნიტისი თავიდანვე ითამაშებს

## B ჯგუფი

### ბოავიშტა — დორტმუნდი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბოავიშტა:** რიკარდუ, პაულუ ტურა, ერივენი, პედრუ ემანუელი, ფრეშაუ, პეტი, სანჩესი, გლაუბერი, ელპიდიუ სილვა, დუდა, ალეშანდრე
**დორტმუნდი:** ლემანი, ვორნსი, როიტერი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, დედე, როსიცკი, სორენსენი, იან კოლერი, ამოროზო

### ლივერპული — დინამო

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ჰინალი, ანრი, ჰიიპია, ჰამანი, მერფი, მაკალისტერი, ჯერარდი, ლიტმანენი, ჰესკი
**დინამო:** ფილიმონოვი, ფიოდოროვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მელაშჩენკო, ბელკევიჩი, გიოანე, იდაჰორი, ნესმაჩნი, ჩერნატი, გავრანჩიჩი

**დორტმუნდის** „ბორუსია“ ჯგუფის მოულოდნელ ლიდერ „ბოავიშტას“ ესტუმრება. გერმანელთა კაპიტნის, შტეფან როიტერის თქმით, ორი უსახური ფრის შემდეგ, ისინი შეეცდებიან თავისი ძალა სრულად წარმოაჩინონ და პორტუგალიელები დაამარცხონ: „ჩვენ შეგვიძლია და იმაზე უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე „დინამოსთან“ და „ლივერპულთან“. გულშემატკივრებს გამარჯვებები მოენატრათ“ — ამბობს როიტერი.

დორტმუნდელთა წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული ჩეხების, ტომაშ როსიცკისა და იან კოლერის, აგრეთვე ბრაზილიელი მარსიო ამოროზოს მოხერხებაზე. სწორედ ეს სამი ფეხბურთელია დღეს ბორუსიელთა მთავარი იარაღი. გერმანელი ჟურნალისტების აზრით, ამ სამეულმა სწორედ ახლა, გადამწყვეტ მომენტში უნდა დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ მიიჩნევენ ვარსკვლავებად.

ეს გუნდები ერთმანეთს 1999 წლის ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდრიან. მაშინ პორტუში „ბოავიშტამ“ 1:0 მოიგო, ხოლო დორტმუნდში „ბორუსიამ“ 3:1.

წინა კვირას პორტუგალიაში შერცხვენილი კიევის „დინამო“ საქმის გამოსწორებას ლივერპულში ეცდება. კიეველთა მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო მიიჩნევს, რომ „ბოავიშტასთან“ წაგებას გუნდი ფსიქოლოგიურად არ გაუტეხავს და ყველა მოთამაშე საბრძოლველადაა განწყობილი. მით უმეტეს, რომ მასპინძლებს მაიკლ ოუენი არ ეყოლებათ.

უკრაინული კლუბის ვიცე-პრეზიდენტი იგორ სურკისი კი დარწმუნებულია, შემდგომ ეტაპზე გასვლა თუ გვსურს, ლივერპულში არ უნდა წავაგოთ, დანარჩენი კი მერე გამოჩნდებაო.



მაიკლ ოუენი ჩემპიონთა ლიგასაც და პრემიერლიგასაც კარგახნით დაემშვიდობა

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, პაულუ სოუზა, ვლაოვიჩი, მიკაელსენი, კირიაკოსი, ოლისადებე, ბასინასი, კარაგუნისი, ფისასი
**არსენალი:** სიმენი, ლორენი, კიოუნი, აშსონი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, პარლოუ, პირესი, ანრი, ვილტორდი

### შალკე — მალიორკა

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე:** რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, უდე კამპუსი, ვან ჰუგდალემი, ვერმანტი, მიოლერი, ბიომე, აგალი, მპენზა
**მალიორკა:** მიკი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, ნადალი, მიგელ სოლერი, ენგონგა, მარკოსი, პაუნოვიჩი, ლეო ბიაჯინი, ეტოო, ლუკე



ბერძნები ყველაზე მეტად ტიერი ანრის (მარჯვნივ) უფრთხიან

**ორი ტურის** შემდეგ „პანათინაიკოსს“ 6 ქულა აქვს და ლიდერობს, ხოლო მისმა დღევანდელმა მეტოქე ლონდონის „არსენალმა“ მხოლოდ სამი ქულა დააგროვა. ამის გათვალისწინებით შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ბრიტანელები ათენში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად ჩავიდნენ. ამასვე ადასტურებს ბერძენთა ნახევარმცველი იონას კოლკა და თამაშის წინ აცხადებს: „არსენალი“ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, თუმცა ახლა ისეა საქმე, რომ მათ ჩვენზე ნაკლები ქულა აქვთ. ვთვლი, რომ ისინი უფრო დაძაბულნი გამოვლენ მინდორზე, ეს ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს“.

ათენელები ყველაზე მეტად ტიერი ანრის უფრთხიან. ისევ კოლკას სიტყვებს მოვიყვანთ: „მათგან ყველაზე სახიფათო, ცხადია, ანრია. იგი სწრაფია, უბურთოდ ბევრს მოძრაობს და მცველები გამუდმებით ყურადღებით უნდა იყვნენ, მაგრამ ერთიც უნდა ითქვას, ჩვენ არც ანრის გვეშინია და არც „არსენალის“. თუ ისეთივე შემართებით ვითამაშებთ, როგორც წინა მატჩებში „შალკესა“ და „მალიორკასთან“, მჯერა გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

მეორე მატჩში მალიორკელები ესტუმრებიან გელზენკირხენს. გერმანელთა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა ლიგაში წაგებული ორი თამაშის შემდეგ განაცხადა, თუ შინ ესპანელებს ვერ მოვუგეთ, მომდევნო ეტაპზე გასვლა ოცნებადვე დაგვრჩებაო. თუმცა „შალკესთვის“ მატჩისწინა განწყობა სახარბიელო არ არის. ერთი, რომ გუნდმა ბუნდესლიგაში „ფრაიბურგთან“ 0:2 წააგო, თან ტრავმების გამო მარკ ვილმოტსი და შარშანდელი ბუნდესლიგის ბომბარდირი ებე სანდი დააკლდება.

„მალიორკას“ მთავარი დანაკლისი მეკარე ლეო ფრანკოა. იგი პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში დაშავდა. მის ნაცვლად არგენტინელი კარლოს როას გამოჩენაა მოსალოდნელი.

ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ასევე არგენტინელი გამთამაშებელი არიელ იბაგასაც. სამაგიეროდ, დაბრუნდება ესპანეთის ნაკრების წევრი ვისენტე ენგონგა.

## D ჯგუფი

### პსვ ეინდჰოვენი — ლაციო

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსვ ეინდჰოვენი:** კრალი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ბუმა, რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი, რამზი, კეჟმანი, ბრუგინკი
**ლაციო:** პერუცი, კოლონეზე, კოუტუ, პანკარო, კასტრომანი, მენდიეტა, ჯანიკედა, სიმეონე, ფიორე, კლაუდიო ლოპესი, ინძაგი

### ნანტი — გალათასარაი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნანტი:** ლანდრო, არმანი, გოლე, ფაბრი, დეროფი, ბერსონი, ოლემბე, კუინტი, ზიანი, დალმა, ანდრე
**გალათასარაი:** მონდრაგონი, კაპონე, ემრე ასიქი, ჰაქან უნსალი, ერგუნი, პერესი, ბიულენთ აკინი, სუათი, სერგენი, ჰასან შაში, უმით კარანი

ისე, უნდა ითქვას, რომ ახალი ბიუჯეტის მოწონება-დამტკიცების მიუხედავად, ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებენ, ფლორენტინო პერესის პოლიტიკა კლუბს ხეირს არ მოუტანსო. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ხალხი ახლა კი არ გამოჩნდა, დიდი ხანია, აკრიტიკებენ პერესს. „რეალის“ ყოფილ პრეზიდენტზე ლორენსო სანსზე და მის ჯგუფზე მოგახსენებთ. პერესმა კი, რაკი კრებაზე მხარდაჭერა იგრძნო, დრო იხელთა და სანსს შეუტია, პირველად ბოლო ოცი წლის მანძილზე კლუბს ვალი არ აქვს და გასაოცარია, რა პრეტენზიები აქვსო. პერესმა სანსის საქციელი ასე ახსნა: არჩევნებში რომ დავამარცხე, გაბოროტებულია და უღირსი ხერხებით ცდილობს ჩემი სახელისთვის ჩირქის მოცხებასო. მანვე სინანულით შენიშნა, ადამიანების ერთ ნაწილს, სამწუხაროდ, სჩვევიათ ასეთი რამეებიო.

ამავე სხდომაზე ფლორენტინო პერესმა ვისენტე დელ ბოსკეც შეაქო: „კარგია ვისენტე, ძალიან კარგია, ასე გავაგრძელოთ. ვფიქრობ, ამ სეზონში პრიმერადივიზიონიც უნდა მოვიგოთ და ჩემპიონთა ლიგაც. უბრალოდ, ვალდებულები ვართ“.

ცხადია, ულვაშა მწვრთნელსაც სწადია ყველაფრის ერთად მოგება, მაგრამ ძალიან ძნელი ხომ არ არის? ყოველ შემთხვევაში, ასობით ადამიანის თანდასწრებით პრეზიდენტმა დელ ბოსკე ისე აქო, ეს უკანასკნელი თავის გამოსვლაში იძულებული გახდა, ასეთი რამ ეთქვა: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უკეთ და უკეთ ვითამაშებთ. ყველანი მშვიდად ვართ და გვჯერა საკუთარი შესაძლებლობების. და როცა ჩვენ ფორმაში ვართ, წინ ვერავინ გადაგვეღობება“.

კრება ასეთი ხალისიანი განწყობით დასრულდა. მართალია, ცოტა არ იყოს, კომპარტიის პლენუმის ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ თავისი საქმისა თავადვე იციან.

**გიორგი დარჯანია**

# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

## ფეხბურთის რუქასთან



**ფრანგული** „სედანის“ პრეზიდენტმა პასკალ ურანომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექს დაპტონი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მწვრთნელის განთავისუფლების მიზეზი უეფას თასის გათამაშების პირველ მატჩში ჩეხურ „პრჟიბრამთან“ სამარცხვინო მარცხი გახლავთ. „სედანი“ ევროსარბიელს ოცდათერთმეტი წლის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა და პირველივე მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხდა. პასკალ ურანო დაპტონის ადგილზე ანრი სტამბოულის დანიშვნას აპირებს. სტამბოულს მთავარ მწვრთნელად გვინეის ეროვნულ გუნდში და შვეიცარიულ „სიონში“ უმუშავია, შვეიცარიაში შარშან საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს.

**იტალიური „ატალანტას“ მწვრთნელ ჯოვანი ვავასორის გუნდის ნახევარდაცვის გაძლიერება განუზრახავს. იგი ჯონათან ბინოტოთი დაინტერესდა. ბინოტო ამჟამად მილანის „ინტერში“ ირიცხება, სადაც იგი „ბოლონიადან“ ამ ზაფხულს გადავიდა.**

**გერმანულმა** „დორტმუნდმა“ ბრაზილიური „კორინთიანსისგან“ ოცი წლის თავდამსხმელი ევერტონი შეიძინა. „დორტმუნდმა“ ახალგაზრდა თავდამსხმელში შვიდნახევარი მილიონი გერმანული მარკა გადაიხადა. ევერტონი უკვე ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და შესაძლოა, იგი ბუნდესლიგის მორიგ ტურში, „ზანკტ პაულის“ წინააღმდეგ, მოედანზეც ვიხილოთ.

**ესპანური „ბარსელონას“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა მარკ ოვერმარსმა ახლახან მუხლის ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის გუშინდელ მატჩში „ლევერკუზენის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშა. მიზეზი: ვირუსი, რომელიც მას სულ მცირე სამი კვირით დაასვენებს.**

**შოტლანდიური** „სენტ-ჯონსტონის“ ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელი სენდი კლარკი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ეროვნულ პირველობაში კლუბი ბოლო ადგილზეა. ამ სეზონში კლარკი პირველი არაა, ვინც თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ერთი კვირის წინ ასევე უხეირო შედეგების გამო „მოზერუელიდან“ ბილი დევისი დაითხოვეს.

**იტალიური „ლაციოს“ მთავარმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ტრავმების გამო ლამის განახევრებული გუნდის ხელმძღვანელობას „ლივერპულიდან“ რობი ფაულერის გადმოყვანა მოსთხოვა. მის სანაცვლოდ კი რომაელები ინგლისელებს, სავარაუდოდ, იუგოსლავიელ თავდამსხმელ დარკო კოვაჩევიჩს დაუთმობენ.**

# ვიტალიური ამბავი
## მილანში პატარა დსთ მოაწყვეს



ვიტალი კუტუზოვი და ადრიანო გალიანი

**ბორისოვის** ბატემ, ჩვენი „დინამოს“ დამჩოქებელმა, უეფას თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში იტალიურ „მილანთან“ ვერაფერი გააწყო. აი, ბელარუსთა 21 წლის თავდამსხმელმა ვიტალი კუტუზოვმა კი იმდენი ქნა, თავისი თამაშით გალიანის თავი მოაწონა, ნამატჩევს კი სილვიო ბერლუსკონის მარჯვენა ხელმა ჟურნალისტები გააკვირვა, ჩვენ ვიტალი კუტუზოვს ვყიდულობთ, კონტრაქტს სულ მალე გავუფორმებთო.

სულ მალე კი გუშინწინდელი დღე გახლდათ. ფეხბურთელი მილანელოში ორშაბათს ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბის ოფისში ხუთწლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. ვიტალი კუტუზოვი 2006 წლის 30 ივნისამდე იქნება „მილანის“ საკუთრება, ბატემ კი ტრანსფერში 2 მილიონი დოლარი მიიღო.

გაიგო თუ არა, გუნდში ბელარუსი მოდისო, ანდრეი შევჩენკო კიევის „დინამოს“ საპატიო და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისს დაუკავშირდა: „მითხარით, ვინ არის კუტუზოვი, გამოგვადგება?“ ყველაფერი რიგზეა, გამოგადგებათ და თანაც როგორ — ასეთი ყოფილა სურკისის პასუხი, რომელსაც კარგად სცოდნია ბელარუსული ფეხბურთის ამბები.

ანატოლი კაპსკი, ბატეს პრეზიდენტი: „შარშან ყველაფერი ვიღონეთ, რათა ვიტალი შეგვენარჩუნებინა. ვუთხარი, ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ყველაფერი წინ გაქვს-მეთქი. დაგვიჯერა. ახლა კი მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. არ დავმალავ, წინადადებები საკმაოდ ბევრი მივიღეთ, თითქმის ყველა მოსკოვური კლუბი, კიევის „დინამო“, „შახტარი“, „ფიორენტინა“, „ვერონა“, თურქეთის და პორტუგალიის წამყვანი გუნდები მისით დაინტერესებულნი იყვნენ“.

კუტუზოვის კოზირი ჩინებული დრიბლინგი, მოედნის შესანიშნავი ხედვა და სისწრაფეა. მართალია, „მილანს“ გოლი ვერ გაუტანა, მაგრამ სახელოვანი მცველები სამ-ოთხჯერ ბავშვივით გააბითურა.

...და მარკო სიმონე? „მისი ტრანსფერი ჩაიშალა. ჩვენ ნიჭიერი თავდამსხმელი შევიძინეთ, ჩინებული პიროვნებაა და „მილანში“ როგორც ფეხბურთელი ძალიან გაიზრდება“ — განუცხადა გალიანიმ იტალიელ ჟურნალისტებს კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

ვიტალი კუტუზოვი თავის ახალ გუნდში ვარჯიშს ხვალვე შეუდგება.

**გიორგი გუგაძიძე**

# ცქიტიშვილი და დანტონი სლოვენიიდან კაცს ელიან



ნიკა ცქიტიშვილი

**ორ** კვირაზე მეტია, რაც პირველმა ქართველმა კალათბურთელმა იტალიის უმაღლესი ლიგის კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. ნიკა ცქიტიშვილმა ბოლო ორი სეზონი სლოვენიაში გაატარა და შარშან ლიუბლიანის „სლოვანში“ ამ ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოც მოიპოვა, მაგრამ სეზონის ბოლოს ბალკანურ კლუბთან ფინანსური პრობლემები შეექმნა და თავისი ბედი მასზე მონადირე ტრევიზოს „ბენეტონს“ ექვსი წლით დაუკავშირა.

ქართველი ფორვარდი იტალიაში 7 სექტემბერს გაემგზავრა. ჩასვლიდან დღემდე ის ტრევიზოს გუნდშია და სისტემატიურად ვარჯიშობს, თუმც მისი ტრანსფერისა და გუნდში ჩარიცხვის ამბავი ოფიციალურ დოკუმენტებში არ დაფიქსირებულა. ამ უქმეებზე კი იტალიის ჩემპიონატი დაიწყო და ცქიტიშვილის გვარი არც „ბენეტონის“ პირველი მატჩის ოქმში ეწერა. საქმე კი ამგვარადაა: ნიკა „სლოვანიდან“ განთავისუფლების ფურცელს ელოდება, რომელიც ამ საქმისთვის სლოვენიაში მივლინებულმა „ბენეტონის“ იურისტმა უნდა ჩაიტანოს იტალიაში. ნიკას თქმით, ეს მომავალ კვირაში მოხდება, რის შედეგადაც მისი კონტრაქტი ოფიციალურად შევა ძალაში. მანამდე კი ნიკა სასტუმროში ცხოვრობს და ცდილობს, ვარჯიშებზე „ბენეტონის“ მწვრთნელს, ერთ დროს ნბა-ში ნამუშევარ მაიკ დანტონის თავი მოაწონოს, რაც მას ჩინებულად გამოსდის. მოსალოდნელია, მას შემდეგ, რაც სლოვენიიდან განთავისუფლების ფურცელს მიიღებს, ახალგაზრდა ქართველი სერია A-ს სხვა კლუბში გაანათხოვრონ, თუმცა ნიკას განცხადებით გუნდის მთავარი მწვრთნელი ამ აზრს არ იზიარებს და მისი „ბენეტონში“ დატოვება სურს.

ვნახოთ, ითამაშებს თუ არა ნიკა ცქიტიშვილი ევროპის მოწინავე ლიგის ერთ-ერთ მოწინავე კლუბში. ამ კითხვას პასუხი რამდენიმე დღეში გაეცემა.

**ირაკლი ბერტაია**

## იტალია

I ტური

კინდერი — კანტუ 61:54, ბენეტონი — როზეტო 119:74, რომა — ვიოლა 114:48, აველინო — სკიპერი (ყოფილი ფორტიტუდო) 75:85, ტრიესტი — სკავოლინი 89:86, ადეკო — მიულერი 80:73, იმოლა — სიენა 69:81, ბიელა — სნაიდერო 79:75, ფაბრიანო — ვარეზე 85:94



# ჰაილემ ევოლუცია დაიწყო

**ედმონტონის** მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ ადგილზე ვერგასვლის შემდეგ დედამიწის უძლიერესმა სტაიერმა, ჰაილე გებრესილასიემ მარათონულ დისტანციებზე გადართვა ცოტა ხნით გადაიფიქრა და გადაწყვიტა, ერთხანს კიდევ ერბინა 5 000 და 10 000 მეტრებზე, რომლებზეც მსოფლიოს რეკორდსმენია. ახლა კი ირკვევა, რომ გებრესილასიე ნელ-ნელა მაინც მარათონისკენ მიიწევს, სადაც პრინციპული მეტოქე, კენიელი პოლ ტერგატი ელის. გებრესილასიე ტერგატს ამწარებდა წლების მანძილზე, ოთხგზის მსოფლიოსა და ერთხელ ოლიმპიური ჩემპიონობა ძირითადად სწორედ კენიელის ხარჯზე მოიპოვა და ახლა მარათონში შეცილებასაც უპირებს. ოღონდ ეს ამბავი მოხდება დინჯად, ევოლუციურად. ჰაილე არ აპირებს 10 ათასი მეტრის შემდეგ უცებ 42,195 კილომეტრის რბენას, ის ჯერ ნახევარმარათონებზე მოსინჯავს ძალას და უნდა ითქვას, რომ ეთიოპ ვარსკვლავს 21 კილომეტრზე ცოტა მეტის გარბენის გამოცდილება აქვს. წლეულს მან უკვე მოიგო ნახევარმარათონში ეთიოპიის ჩემპიონატი და საერთაშორისო დონეზე პირველად ირბენს ბრისტოლში, სადაც 7 ოქტომბერს ნახევარმარათონის მსოფლიოს ჩემპიონატია დანიშნული. უცნობია, დაასპარებს თუ არა გებრესილასიე ოქტომბერშივე ჩიკაგოს მარათონს, სადაც ტერგატი იქნება, მანამდე კი ეთიოპი 10 ათას მეტრზე სირბილს ვერ ელევა და ამ დღეებში პრაღის ქუჩები წარმატებით დალაშქრა.

„პრაღის გრან პრიზე“ გებრესილასიემ დიდი უპირატესობით გაუსწრო ყველა მეტოქეს და ლონისძიების რეკორდიც დაამყარა შედეგით 28 წუთი და 07 წამი (რბოლა ქუჩაში გაიმართა და წამის ნაწილები არ აღრიცხულა). მეორე იყო კენიელი რონალდ მუნიაო, მესამე ადგილზე ბურუნდელი ალოიზ ნიზიგამა გავიდა.

**დავით გულუა**




ჰაილე გებრესილასიე მარათონისკენ ნელ-ნელა მიიწევს



# NHL სეზონის წინ. ატლანტიკის დივიზიონი

ნჰლ-ის მორიგი, 85-ე სეზონის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი კვირა დარჩა. ძალიან საინტერესო, უხვმოვლენიანი სეზონი გველის. გარდა საკუთრივ ჩემპიონატისა, ლიგის საუკეთესო მოთამაშეები 2002 წლის თებერვალში სოლტ ლეიკ სიტიში ოლიმპიურ მედლებს გაითამაშებენ. ჩემპიონატს დიდი ინტრიგა იმანაც შეჰმატა, რომ ზაფხულში უამრავმა ვარსკვლავმა გამოიცვალა კლუბი. ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოდ ატლანტიკის დივიზიონი გვესახება. მარტო ერიკ ლინდროსის ფილადელფიიდან რეინჯერსში გადასვლა რად ღირს. გარდა ამისა, მრავალი წლის ერთგულების შემდეგ პიტსბურგი ლიდერმა, იარომირ იაგრმა დატოვა, ხოლო აილენდერსს კიდევ ერთი ელიტარული ჰოკეისტი, ალექსეი იაშინი შეემატა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის სტრუქტურა არ შეცვლილა — 30 გუნდი 2 კონფერენციადაა დაყოფილი, თითოეული კონფერენცია კი სამ-სამ დივიზიონად.

## ნიუ ჯერსი დევილსი

**მოვიდნენ:** მცველი ტომი ალბელონი
**წავიდნენ:** ფორვარდი ალექსანდრ მოგილნი; მცველი შონ ოდონელი; მეკარე ჯონ ვანბისბრუკი (კარიერა დაასრულა)

როგორც ხედავთ, აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდისა და თასის ფინალისტის შემადგენლობამ მინიმალური ცვლილებები განიცადა. ვეტერანი ტომი ალბელონის 5 წლის შემდეგ დაბრუნებას კი გუნდის გაძლიერებად ნამდვილად ვერ ჩავთვლით. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მას ეს არც სჭირდებოდა. „ეშმაკებს“ ძალიან დაბალანსებული, უნაკლო შემადგენლობა ჰყავს, სუსტი ადგილი პრაქტიკულად არ მოეძებნება. ერთადერთი, რაც ნიუ ჯერსის ქომაგებს უთუოდ გულს დასწყვეტდა, ალექსანდრ მოგილნის დაკარგვაა. თუმც, როგორც ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, წმინდა წყლის მეგოლეები ამ გუნდში ვერ ჩერდებიან. ზაფხულში გუნდმა ყველა საკონტრაქტო პრობლემა მოაგვარა, მათ შორის ბობი ჰოლიკსა (3,5 მილიონი წელიწადში) და პეტერ სიკორასთან (ხელფასი ლამის 5-ჯერ გაუზარდეს). ასე რომ, წლეულს „ეშმაკებმა“ შარშანდელი პრობლემები თავიდან აიცილეს (შეგახსენებთ, რომ სეზონის პირველი ნაწილი სკოტ ნიდერმაიერმა და ჯეისონ არნოტმა გამოტოვეს) და უეჭველად თასის ერთ-ერთი მაძიებლები იქნებიან.

## ფილადელფია ფლაიერსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები ჯერემი რენიკი, იან ჰლავიჩი, ირჟი დოპიტა, პაველ ბრენდლი; მცველები ერიკ უეინრიჩი, კიმ იუნსონი
**წავიდნენ:** ფორვარდები ერიკ ლინდროსი, დეიმონ ლენგკოუ

აი, ნიუ ჯერსის მთავარმა კონკურენტმა დივიზიონში, როგორც ჩანს, სწორი დასკვნები გააკეთა. მისმა ხელმძღვანელობამ ზაფხულში ძალ-ღონე არ დაზოგა, რათა გუნდი სოლიდურად გაემაგრებინა. სადღეისოდ „მფრინავთა“ შემადგენლობა, განსაკუთრებით თავდასხმა, ნიუ ჯერსისას არაფრით ჩამოუვარდება. ოთხი ძლიერი ცენტრფორვარდის (რენიკი, პრიმო, დოპიტა, მანდერვილი) არსებობა ფილადელფიას ამდენივე სამეულის შექმნის საშუალებას აძლევს, ხოლო სახელოვანი ახალწვეული რენიკისა და გუნდის მრავალწლიანი ლიდერის ჯონ ლეკლერის დუეტი ძალიან იმედისმომცემი უნდა იყოს. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა თავად ერიკ ლინდროსის გაყიდვითაც კარგი სარგებელი ნახა. ახლა იან ჰლავიჩს და 20 წლის პაველ ბრენდლს (საგამოფენო მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა) მართებთ გუნდის საყრდენად ქცევა.

## ნიუ იორკ რეინჯერსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები ერიკ ლინდროსი, ზდენო ციგერი, ანდრეას იუჰანსონი; მცველები იგორ ულანოვი, დეივ კარპა, დერენ ვან იმპი
**წავიდნენ:** ფორვარდები ტიმ ტეილორი, ადამ გრეივსი, ვალერი კამენსკი, იან ჰლავიჩი, პაველ ბრენდლი; მცველები რიჩ პილონი, კიმ იუნსონი

რეინჯერსის ბოსები როგორც იქნა, გონს მოეგნენ და ფულის ფლანგვის ნაცვლად გააზრებულ საკადრო პოლიტიკას მიმართეს. ნიუიორკელებმა რამდენიმე ძვირადღირებული და უნაყოფო ვეტერანი მოიცილეს თავიდან და დაზოგილი ფულით ერიკ ლინდროსი შეიძინეს. მიუხედავად განსაცდელისა, რომელიც ერიკ ლინდროსმა გადაიტანა, იგი დღესაც ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება და, რაც მთავარია, მას გუნდის წაქეზება და საკუთარი მაგალითით გამხნევება ხელეწიფება. გარდა ამისა, სავსებით განიკურნა ტეო ფლერი, რომელიც შარშან არაჩვეულებრივ სეზონს ატარებდა, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, დღემდე უცნობი პრობლემების გამო დატოვა გუნდი. მათ გარდა ნიუიორკელებს ხომ უბერებელი მარკ მესიე, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი მცველი ბრაიან ლიჩი და ბევრი სხვა ცნობილი ჰოკეისტი ჰყავთ. სხვა საკითხია, იქცევა თუ არა ამ სოლისტთა კრებული ერთ ხმაშეწყობილ ანსამბლად. სწორედ გუნდური სულისკვეთება აკლდა რეინჯერსს ბოლო წლებში, ამიტომაც ენაცვლებოდა კარგ თამაშებს ღრმა ჩავარდნა. მეორე პრობლემაა, იან ჰლავიჩის წასვლის შემდეგ როგორ აინაზღაურებს გუნდი ერთადერთი სტაბილური ჩეხური ხაზის დაშლას. ასეა თუ ისე, რეინჯერსი აუცილებლად იბრძოლებს პლეი ოფში გასვლისთვის.

## ნიუ იორკ აილენდერსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები ალექსეი იაშინი, მაიკ პეკა, ალექსანდრ ხარიტონოვი; მცველი ადრიან ოკუანი; მეკარე გარტ სნოუ
**წავიდნენ:** მცველები მეტიუ ბირონი, ზდენო სარა; ფორვარდები: ტიმ კონოლი, ბილ მაკოლტი

ნიუ იორკის მეორე კლუბის ქომაგებიც დიდი ოპტიმიზმით ხვდებიან სეზონს. აგერ უკვე მერამდენედ შეიცვალნენ მფლობელები, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად ისინი სერიოზულად და ხანგრძლივად მოვიდნენ გუნდში, რაკი ახალშეძენილ ალექსეი იაშინთან 10-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. რაც მთავარია, ლონგ აილენდზე (გუნდის ადგილსამყოფელი) შეიგნეს, რომ ახალგაზრდა ჰოკეისტებით დაკომპლექტებულ გუნდს უმაღლესი კლასის ფორვარდები და სულისჩამდგმელები სჭირდება. იაშინი სწორედ მთავარ როლს შეასრულებს, ხოლო კიდევ ერთი სახელოვანი ახალწვეული მაიკ პეკა გუნდს მებრძოლ სულისკვეთებას შეჰმატებს. გუნდის ხელმძღვანელობამ სხვა ხაზებიც გაამაგრა. მცველი ადრიან ოკუანი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება დაცვაში, ხოლო გამოცდილი გარტ სნოუ 19 წლის რიკ დიპიეტროს ღირსეული შემცვლელი იქნება. ასეთ პირობებში თუ აილენდერსი კვლავ ვერ ჩაებმება საპლეიოფო ბრძოლაში, ამას არც ახალ მწვრთნელ პიტერ ლავიოლეტს აპატიებენ და არც, მით უმეტეს, მრავალწლიან გენერალურ მენეჯერ მაიკ მილბერის.

## პიტსბურგ პინგვინსი

**მოვიდნენ:** მცველი მაიკ უილსონი
**წავიდნენ:** ფორვარდი იარომირ იაგრი; მეკარე გარტ სნოუ

ერთობ ცხელი გამოდგა გასული ზაფხული გუნდის მესვეურთათვის. ძირითადი შემადგენლობის ლამის 80 პროცენტს კონტრაქტის ვადა გაუვიდა და მხოლოდ დიდი ოფლის და ფულის ხარჯვის ფასად შეინარჩუნეს გუნდის ძირითადი ბირთვი, მათ შორის წინა სეზონის აღმოჩენა კოვალიოვი-ლანგი-სტრაკას სამეული. თუმც ეს ყველაფერი ძვირად დაუჯდა პინგვინებს, გუნდი მისმა სულმა და გულმა, იარომირ იაგრმა დატოვა. სპეციალისტები და თავად მარიო ლემიე ერთხმად აცხადებენ, რომ წლეულს სუპერმარიო გაცილებით უკეთეს ფორმაშია. ისე, იაგრის არყოფნაში მას მეტოქეები ორმაგ ყურადღებას მიაქცევენ და საეჭვოა, ამ პირობებში მან შეძლოს, თამაშის დონე კიდევ უფრო აამაღლოს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ წლეულს ოლიმპიადაზე ლემიე კანადას უკაპიტნებს და შესაძლოა, პლეი ოფში ძალა აღარ ეყოს.

# კასერომ სევილიას სტუმრად მოუგო

**პარასკევს** მრბოლებმა ჯუჯა-სახელმწიფო ანდორა მიატოვეს და პორტ ავენტურას ატრაქციონების პარკისკენ აიღეს გეზი. 206-კილომეტრიანი ეტაპი შვეიცარიელი ბეატ ზბერგის გამარჯვებით დასრულდა, ოქროსფერი მაისურა კი ოსკარ სევილიამ უპრობლემოდ შეინარჩუნა. რაბობანკელმა 100-კილომეტრიანი შეტევის შემდეგ ფრანგ რიშარ ვირანკსა და ესპანელ იგორ ფლორესს აჯობა სპრინტში.

ეს სამეული კიდევ ხუთ მრბოლთან ერთად სესარ გარსია კალვოს აქტიურობის შემდეგ დაუსხლტა პელოტონს. დაწინაურებულთაგან საერთო ჩათვლაში ერთიც არ იყო სევილიასთვის საშიში და შესაბამისად არც „კელმეს“ მოუკლავს მათი დევნით თავი. ამიტომაც ლტოლვილთა უპირატესობა თანდათანობით იზრდებოდა და დღის უკანასკნელი დაბრკოლების უმაღლეს წერტილზე, რომელიც ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე იყო, მან 6 წუთს გადააჭარბა. სწორედ ამ დროს დაიწყო ერიკ ზაბელის „ტელეკომმა“ „მილანეზას“ დახმარებით დევნა, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო.

დაწინაურებულებს შორის კი ნამდვილი კატათაგვობანა გაჩაღდა. თითქმის ყველამ შეუტია, მაგრამ გაქცევა ველარავინ მოახერხა და სპრინტიც გაიმართა. აქ კი ზბერგმა იმარჯვა, რომელიც მანამდე მშვიდად იყო და ძალები შემოინახა.

მეორე დღეს პელოტონმა წვიმის თანხლებით ირბოლა და ეტაპის გამარჯვება ისევ მოიერიშეს დარჩა. 68-ე კილომეტრზე 14 კაცი გამოეყო მთავარ ჯგუფს და ადვილადაც მიიღო უპირატესობა, რადგან მეორე დღის უძნელესი ეტაპის წინ ყველა დასვენებაზე ფიქრობდა. არც სპრინტერთა გუნდები აქტიურობდნენ, რადგან მოწინავე ჯგუფში ყველას ჰყავდა წარმომადგენელი.

ჰოდა, წინა დღის მსგავსად უპირატესობამ ამჯერადაც იმდენს მიაღწია, ლტოლვილებს მხოლოდ ერთმანეთში საქმის გარჩევაღა დარჩათ. ალარავის უნდოდა ჯგუფის სათავეში ყოფნა და სხვებისთვის მუშაობა. ამით გარატემ და დომინგესმა მშვენივრად ისარგებლეს. მათი გაქცევის შემდეგ, სანამ სხვები გამოდევნებას თავს მოაბამდნენ, ეს დუეტი სამშვიდობოზე გავიდა. თანაც დარჩენილებში გარატეს თანაგუნდელი პიკოლიც იყო, რომელიც ყველა კონტრშეტევის ჩაშლას ცდილობდა და კარგადაც გამოსდიოდა. ფინიშზე გარატემ კომპანიონს აჯობა და პროფესიულ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა.

„ვუელტაზე“ გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა. მოიერიშეებში პიკოლის ყოფნამ დამამშვიდა. ბოლო კილომეტრებზე მან მითხრა, რომ უნდა შემეტია. მეც დავუჯერე ჩემს პროფესორს და არც წამიგია“ — განაცხადა გარატემ.

პელოტონი 9 წუთისა და 44 წამის დაგვიანებით მივიდა, მაგრამ ამას არავინ დაუმწუხრებია, რადგან ყველა მეორე დღის მთიან ეტაპზე ფიქრობდა. კვირას დასაძლევი სამი მეორე კატეგორიის სიძნელის დაბრკოლება იყო. ეტაპის ბოლოს კი ფინიში უმაღლესი კატეგორიის სიძნელის მთა აიტანაზე იყო მოწყობილი. ისე, მეთხუთმეტე ეტაპი იმითაც გამოირჩა, რომ 2000 და 2001 წლების „ტურების“ მესამეადგილოსანმა ხოსება ბელოკიმ რბოლა შეწყვიტა. „ჩემი ანალიზები ლაბორატორიაში გავაგზავნეთ, რადგან ისე ცუდად ვარ, შეიძლება, რამე ვირუსიც მქონდეს“ — თქვა ბელოკიმ.

აიტანაზე პირველმა დანიელმა კლაუს მიოლერმა აატანა, თუმცა მასზე არანაკლებ კმაყოფილი დარჩა ანხელ კასერო, რომელმაც ოსკარ სევილიას 16 წამი მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ მთებში ჩვეულებრივ მეტოქეზე უარესად რბოლობს.

„ფაქტობრივად მოწინაალმდეგის მოედანზე შევუტიე. მთელი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ვივარჯიშე, რომ მთებში უკეთესად მერბოლა და დღეს ამან შედეგიც გამოიღო. ერთ მომენტში სევილიამ თანაგუნდელ გუტიერესს სიჩქარის დაგდება სთხოვა. წესით, მაშინვე უნდა ავჩქარებულიყავი, მაგრამ სანამ ვილაც გულშემატკივარმა არ მომაძახა, რაღას უცდი, მიდიო, მანამდე მაინც ვერ მოვახერხე იერიშზე გადასვლა“ — გაიხსენა კასერომ რბოლის პერიპეტიები. თუმცა იგი მაინც არ თვლის, რომ საბოლოო გამარჯვება დაიბევა. „მართალია, ინდივიდუალურ რბოლაში მე უკეთ გამოვდივარ, მაგრამ კიდევ ერთი მთიანი ეტაპი დარჩა“ — თქვა მან

თავიდან ყველა ფიქრობდა, რომ ამ მთიან ეტაპზეც ბანესტოელები გამოიჩენდნენ თავს. მაგრამ [illegible] ველარაფერი შეძლეს და საერთო ჩათვლაშიც უკან დაიხიეს. მხოლოდ ხოსე მიგელ მერკადომ შეინარჩუნა სევილიასთან იგივე ჩამორჩენა. მაგრამ, სამაგიეროდ, სხვები [illegible] და [illegible] სულაც პოდიუმის გარეშე დარჩნენ.

**გაგი გურული**

**მეცამეტე ეტაპი**

ანდორა — პორტ ავენტურა, 206 კმ

1. ბეატ ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) 4სთ 28წთ 07წმ
2. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, დომო)
3. იგორ ფლორესი (ესპანეთი, ესკალტელი)
4. რაფაელ დიასი (ესპანეთი, ონსე)
5. დარიუშ ბარანოვსკი (პოლონეთი, ბანესტო) ყველას იგივე დრო

**მეთოთხმეტე ეტაპი**

ტარაგონა — ვინაროსი, 170,5 კმ

1. ხუან გარატე (ესპანეთი, ლამპრე) 3სთ 56წთ 08წმ
2. ხუან დომინგესი (ესპანეთი, ბანესტო) იგივე დრო
3. ჯულიან დინი (ახალი ზელანდია, პოსტალი) +15წმ
4. მარკ ლოცი (ჰოლანდია, რაბობანკი) +28
5. მარიანო პიკოლი (იტალია, ლამპრე) +28

**მეთხუთმეტე ეტაპი**

ვალენსია — აიტანა, 207,2 კმ

1. კლაუს მიოლერი (დანია, მილანეზა) 5სთ 44წთ 18წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +15
3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, ონსე) +15
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +15
5. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, პოსტალი) +22
6. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +34
7. ხოსე მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +50
8. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) +50
9. სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი, ბანესტო) +57
10. აიტორ ოსა (ესპანეთი, ბანესტო) +1წთ 04

**საერთო ჩათვლა**

1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) 51სთ 53წთ 25წმ
2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +25
3. ხოსე მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +2წთ 02
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +2წთ 20
5. დავიდ პლასა (ესპანეთი, ფესტინა) +3წთ 31



მრბოლებს შორის ბრძოლა არ ჩანს, მაგრამ ხედი ნამდვილად მშვენიერია



# გინდა დაისვენო? შეაგინე მსაჯს

## გუშარაშვილმა სეზონი დაასრულა

**განახლდა** ეროვნული პირველობა და რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს საქმეც მიეცა. გუშინ კავშირის ოფისში შეიკრიბნენ „წესრიგის დამცველნი“ და დებულების დამრღვევებს შესაბამისი სასჯელი გამოუწერეს. სტკ-ს წევრებმა თორნიკე გეგიძეს თავმჯდომარეობით ბევრი იმსჯელეს მომხდარ ინციდენტებზე.

მეორე ეტაპის მეორე ტურში „ლოკომოტივი“ — „ყოჩებს“ მშვიდად არ ჩაუვლია. ჯერ იყო და მეტოქეებმა ერთმანეთზე გაიწიეს, მერე „ყოჩების“ მორკინალმა ალეკო გუშარაშვილმა ნერვები ვერ მოთოკა და ოვალური ბურთი მთავარი მსაჯის, ნოდარ რობიტაშვილის თავს უსწორა. მორაგბის თავის მართლებას, აქაოდა, ნერვებს ავყევი და ბურთი უმისამართოდ მოვისროლეო, ყური არავინ ათხოვა. შესაბამისად კიდევ ერთი გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია გაფორმდა რაგბის კავშირში. ალეკო გუშარაშვილი თორმეტი მატჩით ჩამოცილდა ჩემპიონატს. ასე რომ, რაც არ უნდა შორს წავიდნენ „ყოჩები“, მიმდინარე სეზონში მათი მორკინალი ვერაფრით შეეშველება გუნდს. თუმც ამას ვინ დარდობს, როდესაც გუშარაშვილი სამუდამო დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

კიდევ ერთ ყოჩს, გუნდის კაპიტანსა და უპირობო ლიდერს ირაკლი გიორხელიძეს დისციპლინარებმა მკაცრი გაფრთხილება და პირობითი დისკვალიფიკაცია არგუნეს. გიორხელიძეს ასევე ნოდარ რობიტაშვილის შეურაცხყოფა ედებოდა ბრალად, ოღონდ, თანაგუნდელისგან განსხვავებით, მას მხოლოდ სიტყვებით შეუმკია მსაჯი.

ოთხი მატჩით ჩამოშორდა მოედანს „ლოკომოტივის“ უკანახაზელი ლექსო გუგავა. ინციდენტი, რის გამოც რკინიგზელი დაისაჯა, პირველ ტურში „აია“ — „ლოკომოტივის“ დროს მოხდა. მსაჯის, გია ჯავახიშვილის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გუგავამ თავის სიმართლის დამტკიცება არცთუ კორექტული ფორმით გადაწყვიტა და კამათი უხამსი გამონათქვამებით განაგრძო. შეხვედრის კომისარმა მსაჯ-მორაგბის საუბრის ყველაზე საინტერესო ეპიზოდი მატჩის ოქმში სტილის დაცვით ჩაწერა და სტკ-ს წევრებს წინ დაუდო. დისციპლინარებმაც დებულება მოიშველიეს და გუგავას იძულებითი დასვენება გამოუწერეს.

**ბაჩო სვანიძე**

# გრეგანი ამასაც მოიგებს?

**რაგბის** საერთაშორისო საბჭოს (ირბ) წელიწადის ზარ-ზეიმით დაგვირგვინება გადაუწყვეტია და ამისთვის 11 ნოემბერს ლონდონში დიდი შოუს მოაწყობს. ამ ღონისძიების უმთავრესი ნაწილი წარჩინებულთა დაჯილდოება იქნება.ა

ყველაზე საპატიო პრიზი წლის საუკეთესო მორაგბისა იქნება. ირბ-მ უკვე დაასახელა ის ხუთი კანდიდატი, რომელთაგან ერთ-ერთი პირველობას ირგუნებს. რჩეულთა შორის არიან ავსტრალიელები ჯორჯ გრეგანი და ჯორჯ სმიტი, ირლანდიელები ბრაიან ოდრისკოლი და კიტ ვუდი, ინგლისელი ჯონი უილკინსონი.

ავსტრალიამ წლეულს ყველაფერი მოიგო — სერია „ბრიტანელ ლომებთან“, სამი ერის ჩემპიონატი და მოსისხლე ახალ ზელანდიას ბლედისლოუს თასი ააცალა. შერკინების ნახევარმცველი ჯორჯ გრეგანი, როგორც ყოველთვის, ამ მატჩებშიც ავსტრალიელთა ლიდერი იყო. ახლახან მან ნაკრებს გამოთხოვებული ჯონ ილზისგან გუნდის კაპიტნობა ჩაიბარა. სავარაუდოდ, წლის საუკეთესო მორაგბის ტიტულს სწორედ გრეგანი ირგუნებს. მის მორკინალ თანაგუნდელ ჯორჯ სმიტს ნაკლები შანსი აქვს, თუმც წლეულს ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა და ავსტრალიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო.

ორიოდ დღის წინ ირლანდია შოტლანდიასთან რომ არ შერცხვენილიყო, ბრაიან ოდრისკოლს ტიტულს, ალბათ, ვერავინ შეეცილებოდა. ირლანდიელთა შუამარბმა შესანიშნავად ითამაშა ექვსი ერის ჩემპიონატის ზამთრის თამაშები და „ბრიტანელ ლომთა“ ავსტრალიურ ტურნეში ხომ მთლად ბრწყინვალე იყო. შოტლანდიასთან სამარცხვინო წაგებამ მკვეთრად დასცა ირლანდიელთა კვაჭი კაპიტნის კიტ ვუდის აქციებიც.

ასეთ სიტუაციაში გრეგანის ყველაზე რეალურ კონკურენტად ინგლისის გარე ნახევარმცველი ჯონი უილკინსონი მოიაზრება. ახალგაზრდა ბომბარდირი უზუსტეს დამრტყმელად ჩამოყალიბდა და მისი წყალობით ინგლისმაც და „ლომებმა“ არაერთხელ იხეირეს.

წლის საუკეთესო მორაგბის გარდა 11 ნოემბერს დასახელდებიან საუკეთესო გუნდი, მწვრთნელი, ახალგაზრდა მოთამაშე, შვიდკაცა ნაკრები, მორაგბე ქალი. გადაწყვეტილებას კი სოლიდური ჟიური მიიღებს, რომელშიც წარსულის თუ აწმყოს დიდი და მეტად პატივცემული მოთამაშეები შედიან: უელსელი ჯერალდ დევისი (თავმჯდომარე), ინგლისელი პოლ ეკფორდი, ახალზელანდიელი შონ ფიცპატრიკი, არგენტინელი უგო პორტა, ფრანგი ფილიპ სელა, შოტლანდიელი დევიდ სოული, სამხრეთაფრიკელი ჩესტერ ვილიამსი და სხვები.

**განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე.
მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას.
სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

**მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.**
**ტელ: 95 48 57, 92 03 96**

13 ოქტომბერს 13 საათზე სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის 17 საათამდე იწარმოებს პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია. კანდიდატთა წარდგენა შეუძლიათ როგორც ორგანიზაციებს, ასევე კერძო პირებს. დათქმულ ვადაში კალათბურთის ფედერაციაში წარმოდგენილ უნდა იქნას კანდიდატის პირადი განცხადება და სამოქმედო პროგრამა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია
ჭავჭავაძის 49ა; ტელ: 23-53-84; ფაქსი: 29-28-90

ევროპის საკლუბო თასი



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

ზურაბ აზმაიფარაშვილი ბოსნიური „კისელიაკის“ ლიდერია

# დიდი ფორუმი კრეტაზე

## ვერდერი მხოლოდ ფეხბურთშია მაგარი

**უამრავი** ცნობილი დიდოსტატი ამ დღეებში საბერძნეთის ისტორიულ კუნძულ კრეტაზე ჩავიდა, სადაც ევროპის საკლუბო თასის გათამაშება დაიწყო. 38 კლუბი მონაწილეობს და თითოეულში 6 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშეა, ანუ სულ 300 კაცზე მეტი და მათგან ბევრის გამორჩევა შეიძლება, ოღონდ ინდივიდებზე საუბარი ფავორიტი კლუბების დახასიათების ფონზე გავაგრძელოთ, რადგან ტურნირი საკლუბოა.

კრეტაზე არ არის განთქმული იუგოსლავიური „აგროუნივერსალი“ — კლუბი, რომელშიც ერთხანს კრამნიკი და ანანდი თამაშობდნენ. წლეულს სამხრეთელმა სლავებმა უძლიერესნი ვერ მიიმხრეს და ცუდ გამოსვლას გამოუსვლელობა ამჯობინეს. არც ჰოლანდიის ჩემპიონი „ორდინა“ ითამაშებს, რომელიც შარშან ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა და არც რჩეული ინგლისური და გერმანული კლუბები. გერმანელებმა კრეტაზე გაგზავნეს მხოლოდ ბრემენის „ვერდერი“, მაგრამ „ბრემენელებს გაუჭირდებათ — წერს რუსი კომენტატორი — ეს ფეხბურთი არ არის“.

მართლაც, გერმანელებს ფავორიტებად არ თვლიან, რადგან კრეტაზე მოთამაშე ზოგ სხვა კლუბს ბევრად ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავს. დავიწყოთ ბოსნიის „ბოსნათი“. ეს კლუბი გასულ და იმის წინა წლებში თასის მფლობელი გახდა და წლეულსაც დიდი ამბიციები აქვს, ცხადია, ლეგიონერთა იმედით. კლუბი დატოვა ევგენი ბარეევმა, მაგრამ სანაცვლოდ ალექსეი დრეევი და ილია სმირინი მოვიდნენ. 8 მოჭადრაკიდან ბოსნიელი მხოლოდ სამია, დანარჩენები კი სულ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები გახლავან: ბარეევი — რუსი, სმირინი — ებრაელი, კირილ გეორგიევი — ბულგარელი, სერგეი მოვსესიანი — ჩეხეთიდან და ზდენკო კოჟული — ხორვატი. სიჭრელით „ბოსნა“ ყველა დანარჩენს აღემატება მაშინ, როცა ფავორიტადვე მიჩნეულ 3 რუსულ კლუბში თითქმის ერთფეროვნება სუფევს: მათში ძირითადად რუსებივე ირიცხებიან.

ძალიან მაღალი დონისაა „სანკტ პეტერბურგი“, რომლის პირველი დაფა აბარია ფიდეს ექსჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს, რომელსაც მოსდევენ პიოტრ სვიდლერი, კონსტანტინ საკაევი, ვიქტორ კორჩნოი და სხვები; კარგი მოჭადრაკეები ირიცხებიან აგრეთვე „გაზოვიკსა“ და „ნორილსკი ნიკელში“. უკანასკნელს ალექსანდრ გრიშჩუკი მიუძღვის და არც ერთი ლეგიონერი არა ჰყავს, როგორც უკრაინულ „დანკოს“, რომლის პირველ დაფაზე ვხედავთ ახალგაზრდა და განთქმულ რუსლან პონომარიოვს. ამ დროს უკრაინის ნომერი პირველი, ვასილი ივანჩუკი ვარშავის „პოლონიას“ პირველ დაფას უზის, ხოლო მეორე დაფაზეა „ბოსნადან“ ემიგრირებული ევგენი ბარეევი. ამ ორი გვარის წყალობით თითქოს „პოლონიაც“ ფავორიტი უნდა იყოს, მაგრამ თასი საკლუბოა და 6 დაფის შედეგი აღირიცხება. ჩვენც ვნახოთ, ვინ ჰყავთ ზურგში პოლონელებს: მიხაილ კრასენკოვი, რომელმაც ბოლო ორი სეზონი ჩააგდო და სამი არცთუ განთქმული პოლონელი დიდოსტატი, ამიტომ მათი პირველობა საკმაოდ საეჭვოა.

ქართველები ვუქომაგებთ ბოსნიურ „კისელიაკს“, რომლის პირველი დაფა ზურაბ აზმაიფარაშვილს აბარია, მეოთხე — თამაზ გელაშვილს. ორი წლის წინ „კისელიაკი“ ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, მაგრამ წლეულს მისგან ნაკლებია მოსალოდნელიო, ამტკიცებენ ექსპერტები.

პირველი ტურის შემდეგ ამ სიტყვების მართებულობა ცოტათი დამტკიცდა. „კისელიაკმა“ მხოლოდ 4:2 მოუგო სუსტ „როკადენს“. აზმაიფარაშვილმა ულფ ანდერსონთან წააგო, გელაშვილმა ანდერს ოლსონს მოუგო. უნდა ითქვას, რომ 6:0 ვერც ერთმა კლუბმა ვერ მოახერხა. 5,5 ქულა მოიპოვეს მხოლოდ „ბოსნამ“, „გაზოვიკმა“ და უნგრულმა „ზუტი ანტალმა“. ისინი ლიდერობენ. თუმც ლიდერობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, წინ კიდევ 6 ტურია.

**დავით გულუა**


# იყიდება



ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა

ვაზისუბნის IV მ/რ. II. კვ. მე—5 სართული

ტელ: 75 99 49




მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეათე ეტაპი (ახალი ზელანდია)

# მაკინენს მეხუთე ტიტულს ართმევენ

**შოტლანდიელმა** მრბოლმა კოლინ მაკრეიმ და მისმა თანამძღოლმა ნიკი გრისტმა მართალია, ვერ შეძლეს ახალი ზელანდიის რალის მოგება, მაგრამ ამ ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის მოხრეშილ გზებზე მოპოვებული ექვსი ქულაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა სატურნირო ცხრილს სათავეში ჩასდგომოდნენ.

მაკრეისა და ფინელ ტომი მაკინენს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ და სწორედ ზელანდიური მეორე ადგილით გავიდა წინ 33 წლის შოტლანდიელი. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მაკინენი ოკლენდში სტარტისთანავე დაითარსა — პირველივე ჩქაროსნულ ეტაპზე დაშვებულმა შეცდომამ იგი 68 ეკიპაჟს შორის მე-14 ადგილზე გადაისროლა. მაკინენი შემდგომში, ცხადია, ყოველმხრივ ეცადა დანაკარგის ანაზღაურებას, მაგრამ სამდღიანი ასპარეზობა მერვე, უქულო პოზიციაზე დაასრულა.

თავიდან ინგლისელები — რიჩარდ ბარნსი და რობერტ რიდი დაწინაურდნენ. ორი დღის, ანუ 24-დან 16 ჩქაროსნული მონაკვეთის გავლის მერე მათ თავიანთი უპირატესობა 42 წამამდე გაზარდეს და გამარჯვებაც, რომ იტყვიან, უკვე ჯიბეში ედოთ, თუ, ცხადია, ავარია ან მანქანის გაფუჭება არ არევდა სიტუაციას. საინტერესო და დაძაბული მესამე ადგილისთვის ბრძოლა იყო ფინელ ჰარი როვანპერასა და ყველაზე ხნიერ რალისტ, 39 წლის კარლოს საინსს შორის. ესპანელმა ვეტერანმა ბოლო დღეს შეძლო ახალგაზრდა მეტოქის შევიწროება, მაგრამ დასკვნით ჩქაროსნულ უბანზე როვანპერამ საპოდიუმე პოზიცია დაიბრუნა, საინსი კი საერთო ჩათვლაში მესამე საპრიზო ადგილსაც გამოეთხოვა.

გუნდურ ჩათვლაში „ფორდი“ გაიჭრა წინ — „მიცუბიშის“ ათ ქულას უგებს. ჩემპიონატის ფინიშამდე კი ოთხი ეტაპიღა დარჩა.

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) | 3სთ; 47.28,0 |
| 2. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | ჩამორჩა 44,6 |
| 3. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 50,1 |
| 4. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 52,2 |
| 5. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 55,8 |
| 6. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) | 1.11,3 |

**საერთო ჩათვლა**

1. კოლინ მაკრეი 40 ქულა; 2. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) 40; 3. რიჩარდ ბარნსი 31; 4. კარლოს საინსი 30; 5. ჰარი როვანპერა 27; 6. მარკუს გრონჰოლმი 16; 7. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) 14; 8. დიდიე ორიოლი 11; 9. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 9; 10. ფრედ ლუაქსი (ბელგია, მიცუბიში) 9.



ახალ ზელანდიაში ყველას რიჩარდ ბარნსის „სუბარუმ“ აჯობა

CART მეჩვიდმეტე ეტაპი. როკინგემის (ინგლისი) დიდი პრიზი

# ბრაზილიელებს ვერ აჩერებენ

**ფედექს-კარტის** სერიის ვერც მეორე ევროპული რბოლა ჩატარდა ნორმალურ პირობებში. წინა, გერმანული ეტაპის მსგავსად, მოკარტეებს ახლაც წვიმამ აურია დავთრები.

ორჯერვე სწორედ უამინდობის გამო ვერ მოხერხდა კვალიფიკაციის ჩატარება, ხოლო ამჯერად წვიმამ უშუალოდ რბოლის მსვლელობაზეც იქონია გავლენა. „როკინგემის“ ულტრათანამედროვე, ახლახან გახსნილ ავტოდრომზე კარტის ისტორიაში პირველი ბრიტანული დიდი პრიზის გათამაშების დაწყებამ ოთხი საათით დააგვიანა. მოსალოდნელი ავდრის შიშით 500-კილომეტრიანი დისტანცია თავიდანვე ასი კილომეტრით შეიკვეცა, ასპარეზობის მსვლელობისას კი ისე ჩამობნელდა, რომ ამ ზეისტორიულ ეტაპს ორგანიზატორებმა კიდევ 28 წრე მოაკლეს. ერთი სიტყვით, დაგეგმილი 210 წრის ნაცვლად მონაწილეებმა ზუსტად მესამედით ნაკლების გავლა მოასწრეს.

რაკი კვალიფიკაცია ვერ ჩატარდა, პილოტებმა სტარტი თავიანთი სატურნირო მდგომარეობის შესაბამისად აიღეს. წინ გათამაშების ლიდერი კენი ბრაკი მიდიოდა, ოდნავ უკან — შარშანდელი ჩემპიონი ჟილ დე ფერანი. ახლაც ზუსტად განმეორდა წინა ეტაპის სიტუაცია: ბრაზილიელმა ჩემპიონმა დასაწყისშივე უზარმაზარი სიჩქარე განავითარა და ადვილად აუარა გვერდი შვედ მეტოქეს. დე ფერანი კარგა ხანს ედგა ქარავანს სათავეში, მაგრამ წრით ჩამორჩენილების გასწრებისას შეფერხდა, რითაც მშვენივრად ისარგებლა ოვალური ტრასების დიდოსტატმა ბრაკმა და ლიდერობა დაიბრუნა.

მორიგი როქი მესამე პიტსტოპს მოჰყვა — ბოქსებში დე ფერანს ბრაკზე ოდნავ უფრო სწრაფად მოემსახურნენ და ისიც ტრასაზე ყველაზე წინ დაბრუნდა. შვედმა ისევ გაიბრძოლა და ფინიშამდე ორი წრით ადრე გარე, რთული ტრაექტორიიდან შურდულივით ჩაუქროლა კონკურენტს. აქ თითქოს რბოლის ბედიც გადაწყდა, მაგრამ ზედ ფინიშის წინ დე ფერანმა ზუსტად ისეთივე ოსტატური და მეტად რისკიანი მანევრით (მანქანები ბორბლებით ლამის შეეხნენ ერთმანეთს) შეძლო პოზიციის დაბრუნება და კარიერაში მეექვსე, წლეულს კი პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მართალია, ბრაკმა საერთო ჩათვლაში პირველობა შეინარჩუნა, მაგრამ უახლოეს მდევარ დე ფერანთან სხვაობა სადღეისოდ ექვს ქულამდე შემცირდა და დარჩენილ ოთხ ეტაპზე საჩემპიონო ბრძოლაც ბევრად საინტერესო იქნება.

ეს წლევანდელ ჩემპიონატში ბრაზილიელი პილოტების მეშვიდე გამარჯვებაა. ბუნებრივია, ეროვნებათა ჩათვლაშიც სწორედ ისინი არიან წინ — მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელებს 73 ქულას უგებენ. კონსტრუქტორთა თასზე „რეინარდი“ ლიდერობს, („ლოლას“ 47 ქულით უსწრებს), ხოლო ძრავების მწარმოებელთა ჭიდილში კვლავ „ჰონდაა“ „ფორდზე“ წინ.

**გია ახალაძე**



როკინგემში ბევრი რამ ბოქსებში გადაწყდა

**რბოლის შედეგები**

140 წრე — 337,9 კმ

1. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 1 სთ; 20.59,05 (250,4 კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) ჩამორჩა 0,63 წამით; 3. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 14,67; 4. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 16,33; 5. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 17,06; 6. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 18,92; 7. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 19,06; 8. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 19,74; 9. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 20,28; 10. ორიოლ სერვია (ესპანეთი, ლოლა-ფორდი) 26,43; 11. მაქსიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) 26,80; 12. თაუნსენდ ბელი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 1 წრით.

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი 147 ქულა; 2. ჟილ დე ფერანი 141; 3. მაიკლ ანდრეტი 125; 4. ჰელიო კასტრონევეში 123; 5. კრისტიანო და მატა 92; 6. დარიო ფრანკიტი 89; 7. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 86; 8. პატრიკ კარპენტიე (კანადა, რეინარდ-ფორდი) 83; 9. ტონი კანაანი 77; 10. პოლ ტრეისი 76.

# დასცა

რაც უნდა მომხდარიყო, ის მოხდა: ლას ვეგასის „მენდალი ბეი კაზინოს“ დარბაზში კალიფორნიელმა ფერნანდო ვარგასმა მეშვიდე რაუნდში დააგდო მექსიკელი ხოსე ფლორესი. საშუალო წონის ეს კრივი საჩემპიონო სულაც არ იყო, თუმცა ვარგასის სახელს თუ გავითვალისწინებთ, მაყურებელი მრავლად მიიზიდა.




REUTERS

## ლაიზა ბეისბოლზე

იმ საშინელ აფეთქებათა შემდეგ ნიუ იორკში პირველად ჩატარდა საბეისბოლო მატჩი. იქაური „მეთსი“ „ატლანტა ბრეივზს“ შეხვდა „შეა სთედიუმზე“. თამაშზე მივიდა სახელგანთქმული ლაიზა მინელი, რომელმაც სამაშველო სამსახურის გმირ კაცებთან ერთად შეასრულა უკვდავი სიმღერა „ნიუ იორკ, ნიუ იორკ“, მერე კი „მეთსის“ ვარსკვლავ ჯეი პეიტონს გადაეხვია.




## მასპინძლებმა იმარჯვეს

დასავლეთ საფრანგეთის ქალაქ ლე მანში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის. კონტინენტის ჩემპიონობა მასპინძლებმა მოიპოვეს. ფრანგმა ქალებმა ფინალში რუსები დაამარცხეს 73:68 და აუწერელი სიხარულით აღნიშნეს გამარჯვება. პირველი გუნდური ფოტო კი უკვე ცეკვა-თამაშისა და წივილ-კივილისგან მოქანცულებმა გადაიღეს.



REUTERS



REUTERS

## საფინი ქვეყნის კიდეზე

ჰონკონგის საერთაშორისო ტურნირზე ჩასულა რუსი ჩოგბურთელი მარატ საფინი, რომელიც ჩინური პერანგის მორგებას ცდილობს შეჯიბრების გახსნის ცერემონიალზე.



## დედა შვილს არ აიყვანს

დიდი ამბით მიმდინარეობს ჰოკეის ეროვნული ლიგის წინასასეზონო თამაშები. გუნდები მზადყოფნას და ჯანს იმოწმებენ. დანდობა ამ საქმეში არ არის. აი, წამი პიტსბურგის ყინულიდან: „ატლანტა თრეშერსის“ პატრიკ შტეფანი (მარცხნივ) ყვანჯითა სცემს მასპინძელ იან მორანს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge